გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 66
(11 828)

20 – 23 აგვისტო, 2004 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ზაფხულის XXVIII ოლიმპიური თამაშები

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი თენგიზ გაჩეჩილაძე ათენიდან იტყობინება

# მარჯი საქართველოს!
# ზურაბ ზვიადაური ოლიმპიური ჩემპიონია!

ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ისტორიაში ოლიმპიურ ჩემპიონთა ათვლა დაიწყო...






ზურაბ ზვიადაური მეტოქეს იპონით ამარცხებს ფინალში

## ნახტომი ოქროს ხანაში

დიახ, ქართულ სპორტს, მთელ ჩვენს ქვეყანას, დამოუკიდებელ საქართველოს, ოლიმპიური სპორტის ოქროს ხანა დაუდგა. ცნობილია ზუსტი დრო: 2004 წლის 18 აგვისტო, ათენი, XXVIII ოლიმპიური თამაშები, ძიუდოისტთა ოლიმპიური ტურნირი, თბილისის დროით 18 საათი და 35 წუთი, ქართველი ძიუდოისტი ზურაბ ზვიადაური 90 კგ-მდე წონით კატეგორიაში ფინალურ პაექრობაში იპონით ამარცხებს იაპონელ ჰიროში იზუმის და ხდება ოლიმპიური ჩემპიონი. ოქროს მედალი, რომელიც ზურაბ ზვიადაურმა მოიპოვა, პირველია დამოუკიდებელი საქართველოს ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში. ამ დროიდან ეძლევა დასაბამი ოქროს ხანას, ამ დროიდან იწყება ქართული სპორტის უმაღლესი ოლიმპიური წარმატებების ათვლა. ეს დრო სამარადჟამოდ შევა არა მხოლოდ ჩვენი ეროვნული სპორტის, არამედ, ერის ისტორიაში.

19 საათი და 12 წუთი. გამარჯვებულს და პრიზიორებს კვარცხლბეკზე უხმობენ. 19 საათი და 14 წუთი — ზურაბ ზვიადაურს თავზე ოლიმპიური დაფნის გვირგვინს ადგამენ და კისერზე ოქროს მედალს ჩამოჰკიდებენ. 19 საათი და 16 წუთი — დარბაზში ისევ და ისევ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად ჟღერს ახალი ქართული ჰიმნი და, მაღლა, ყველაზე მაღლა მიიწევს ახალი ხუთჯვრიანი ქართული დროშა, ქართველები, დელეგაციის წევრები თუ საბერძნეთში დროებით სამუშაოდ ჩასულები, ერთ ტრიბუნაზე შეკრებილან, გაისმის ომახიანი შეძახილები. ეს ჯგუფი მუდმივად ამხნევებდა ქართველ ფალავანს, როცა ის ტატამზე შეხვედრას შეხვედრაზე იგებდა. ძნელია, ძალიან ძნელია იმ განცდის აღწერა, რაც იმ წუთებში სუფევდა ჩვენს „ლაშქარში“, ყველა ერთმანეთს ეხვეოდა, ბევრი ცრემლს ვერ იკავებდა, თითოეული მათგანი იმ წუთში, ისე, როგორც მთელი საქართველო, უბედნიერესი ადამიანი იყო. ჩვენ ხომ ყველანი, ჯერ ბრინჯაოს ხანიდან რამდენიმე დღის წინ ვერცხლის ხანაში, ახლა კი ვეფხვის ნახტომით ოქროს ხანაში აღმოვჩნდით.

„ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩემთვის ეს პირველი ოლიმპიადა მოვიგე, მე ვიცი, რომ ეს გამარჯვება ძალიან სჭირდებოდა საქართველოს“ — იტყვის ზურაბ ზვიადაური პრესკონფერენციაზე. სწორედ ამ დროს რეკავს ტელეფონით საქართველოს პრემიერმინისტრი ზურაბ ჟვანია. ზვიადაური ჟურნალისტებს გაანდობს საუბრის შინაარსს: „მომილოცა თავისი და პრეზიდენტის სახელით, მითხრა, რომ პრეზიდენტთან ერთად ტელევიზორით ადევნებდა თვალყურს ფინალს და უსაზღვროდ გახარებულები არიან.“ დავძენთ, რომ პრეზიდენტმა პაექრობის დამთავრებისთანავე დაურეკა გოკა გაბაშვილს და სთხოვა ზვიადაურთან დაკავშირება, მაგრამ ვიდრე მობილურს ზურაბს არენაზე ჩაუტანდნენ, კავშირი გაწყდა. მოგვიანებით ბატონი მიხეილ სააკაშვილი დაუკავშირდა ზვიადაურს და ჩემპიონობა მიულოცა. დაურეკა ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემაც.

რაღა თქმა უნდა, იმ საღამოს დიდი ზეიმი იყო ოლიმპიურ სოფელში. ახლა კი იმ დღის სრული ქრონიკა, თუმცა, ჯერ მცირეოდენი შესავალი განსჯისათვის.

ორი ზვიადაური, ორი ცნობილი ახალგაზრდა ქართველი ძიუდოისტი — ერთი ილიადისის გვარით გამოდიოდა საბერძნეთის სახელით, მეორეს გვარის შეცვლა არც უფიქრია, იგი სამშობლოში დარჩა და ახლა აქ ათენში, თავისი ქვეყნის ღირსებას იცავდა ოლიმპიურ ტატამზე. ილიას ილიადისი(ჯარჯი ზვიადაური) 17 აგვისტოს 81 კგ. წონით კატეგორიაში გამოვიდა... ამ დღეს მისი მძლეველი არავინ აღმოჩნდა. ფინალში გავიდა, იქაც მეორე ფინალისტთან შეხვედრის მოგებამდე მიყვანა არ გასჭირვებია და ამ თამაშებში, ამ დღემდე, ოქროს მეორე მედალი მოუტანა თავის ახალ სამშობლოს. აღსანიშნავია, რომ ქართველი ძიუდოისტი ადრე ასევე საქართველოში დაოსტატებულმა სპორტსმენმა და მწვრთნელმა, ამჟამად საბერძნეთში, თავის ისტორიულ სამშობლოში მცხოვრებმა ნიკოლას ილიადისმა იშვილა და ილიას ილიადისი დაანათლა. მაშ ასე, ილიას ილიადისი, რომელიც ინტერვიუებს ჯერ ისევ ქართულ ენაზე აძლევს ბერძენ ტელეჟურნალისტებს, ოლიმპიური ჩემპიონია. ამ წონაში ჩვენგან გრიგოლ მამრიკიშვილი გამოდიოდა, რომელმაც ულიმღამო პაექრობა ესტონელ ბუდოლინთან დათმო, მერე ბალტიისპირელმაც წააგო და ჩვენებურს მედლისთვის ბრძოლის ყველანაირი შანსი გადაეწურა.

17 აგვისტოს ამბებზეც გითხარით. 18-ში კიდევ ერთი, ამჯერად უკვე ნაღდი ქართველი ზურაბ ზვიადაური ჩაერთო ძიუდოისტთა ოლიმპიურ ტურნირში. ზურაბს ორგანიზატორებიც ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევენ, ამიტომ ერთ ბადეს ის ჩაუყენეს სათავეში, რომ უძლიერესებს ფინალამდე

იხ. მე-2 გვ.

**ზურაბ ზვიადაური**
ძიუდო (90) – დაიბადა 1981 წლის 2 ივლისს ახმეტაში.
2002 წლის ევროპის პირველობის ბრინჯაოს მედლის მფლობელი, ორგზის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი (2001-2003)
2004 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.
მწვრთნელი – შოთა ხაბარელი.



**გუშინ:** ივერი ჯიქურაულმა 100 კგ. წონით კატეგორიაში ასპარეზობა კარგად დაიწყო. ჯერ მონღოლი ოდკნუუს სძლია 55 წამში, შემდეგ ალჟირელი ბელგროუნი ასევე იპონით 2 წუთსა და 55 წამში დაამარცხა. ბელორუს მაკარაუსთან 5 წუთი იჭიდავა, მაგრამ მეტოქემ „იუკოთი“ მეტი აართვა. და ნახევარფინალში ბელორუსელი გავიდა. სამწუხაროდ ჯიქურაულმა დამამშვიდებელ ჯგუფშიც სუფთად წააგო შეხვედრა ყაზახ ზიტკიევთან და ასპარეზობას გამოეთიშა. ჩემპიონი გახდა ბელორუსიის ძიუდოისტი იგორ მაკარაუ, რომელმაც ფინალში სამხრეთ კორეელი იან სუნ ჰო დაამარცხა. ბრინჯაოს მედლის მფლობელები გახდნენ გერმანელი მიხაელ იურაკი და ისრაელის წარმომადგენლები არიელ ზეელერი.

## დავით კინწურაშვილს!



ბატონო დავით!

სულითა და გულით მოგესალმებით ოლიმპიური ათენიდან ჩემთვის ფრიად საპატიო მისიით — მოგილოცოთ დაბადებიდან 80 წლისთავი.

ქართული სპორტის ისტორიაში თქვენ წარუშლელი კვალი დატოვეთ და სასიხარულოა, რომ კვლავაც შემართებით, ახალგაზრდული ენერგიით ემსახურებით საყვარელ საქმეს.

ახლა, ათენში, ოლიმპიადის დღეებში, განსაკუთრებულად გამძაფრებულია იმის შეგრძნება, რაც პირადად თქვენ გააკეთეთ საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის დამკვიდრება — განვითარებისათვის. მე და თქვენ თანამოაზრენი და თანამებრძოლები ვიყავით ჯერ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ჩამოყალიბების პროცესში, შემდეგ მთელი 8 წლის განმავლობაში სეოკ-ში ერთობლივი საქმიანობით. მეამაყება, რომ ასეთი თავდადებული ბრძანდებით, მაგალითს აძლევთ ახალგაზრდებს, კვლავ მოღვაწეობთ სეოკ-ში, რომლის ისტორიის ფურცლები თქვენი აქტიური მონაწილეობით დაიწერა და იწერება.

გისურვებთ ყოველივე სიკეთეს
ღრმა პატივისცემით

**თენგიზ გაჩეჩილაძე**
**ათენი, 19 აგვისტო, 2004 წ.**

## მილოცვები

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობას ულოცავს ძიუდოისტ **ზურაბ ზვიადაურს.**

X X X

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ათენში, ოლიმპიადაზე ოქროს მედლის მოპოვებას ულოცავს ძიუდოისტ **ზურაბ ზვიადაურს.**

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი დაბადებიდან 80 წლისთავს ულოცავს ქართული სპორტის თვალსაჩინო ვეტერან მოღვაწეს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენის კავალერს, ბრწყინვალე პიროვნებას **დავით კინწურაშვილს.**

X X X

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან საიუბილეო 80 წლისთავს ულოცავს ამავე კომიტეტის ერთ-ერთ დამფუძნებელს და ამჟამად მის აღმასრულებელ დირექტორს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენოსანს **დავით კინწურაშვილს.**

## ქართველები ოლიმპიადაზე

### შეჯიბრებების განრიგი (20-24 აგვისტო)

| თარიღი | სახეობა | სპორტსმენი | დაწყ. დრო | დასრ. დრო |
|---|---|---|---|---|
| 20.08 | ძიუდო | ლ. გუჯეჯიანი | 12:30 | 21:00 |
| | ბატუტი | რ. ხოფერია | 18:30 | 21:30 |
| | კრივი | ქ. კუპატაძე | 15:30 | 00:30 |
| 21.08 | ძალოსნობა | გ. ასანიძე | 12:30 | 17:00 |
| | მძლეოსნობა | ი. დუბინა | 19:30 | 23:00 |
| | კრივი | ნ. იზორია | 21:30 | 00:30 |
| 23.08 | ძალოსნობა | ა. კასაბიევი | 12:00 | 00:00 |
| | კრივი | ქ. კუპატაძე | 21:30 | 01:00 |
| | მძლეოსნობა | ი. დუბინა | 18:30 | 22:10 |
| 24.08 | ბ/რ ჭიდაობა | ი. ჭოჭუა | 11:30 | 22:00 |
| | | მ. კვირკველია | | |
| | | მ. ვახტანგაძე | | |
| | | მ. გიორგაძე | | |
| | კრივი | ნ. იზორია | 21:30 | 00:30 |
| | მძლეოსნობა | დ. ილარიანი | 9:00 | 13:45 |

# ათენი 2004

# ნანატრი ოქროს ხანაში



ოლიმპიურ კვარცხლბეკზე. მარცხნიდან მეორე – ზურაბ ზვიადაური

პირველი გვერდიდან

მიღწევის შანსი დარჩენოდათ. სასტარტო შეხვედრაში ზურაბ ზვიადაურს იტალიელ ფრანსესკო ლეპრესთან მოუხდა ანგარიშის გასწორება. პირველი დაბრკოლება ქართველმა ჩინებულად გადალახა. ეს მთასავით იტალიელი, მართალია, მრისხანე შთაბეჭდილებას სტოვებდა, მაგრამ ზურაბი მას კარგად იცნობდა, ადრე რამდენჯერმე მოუგია კიდეც მისთვის. როგორც შევნიშნეთ, ზვიადაური დინჯად, თამაშ-თამაშით ჩაერთო პაექრობაში. „თითქოს მსხვერპლს ელერსებაო'' და... უეცრად ქართული მადლიანი კისრულით, ეს თქვენგან მოწონებული იტალიელი გოლიათი სულ რაღაც 48 წამში, ტატამზე გაშხლართა. იპონი როგორ არ გვინახავს, მაგრამ ასეთი შესრულებული, ასეთი ლამაზი — იშვიათად. მეორე შეხვედრა. აქ ზურაბის მეტოქე იყო რუსეთელი ხასანბეკ ტაოი. პირველსავე წუთზე ზვიადაურმა კინაღამ ეფექტური ილეთი ჩაატარა, მაგრამ მეტოქემ ტატამზე გულაღმა გაშხლართვა მოასწრო და ზურაბმა ველარ ასწია. ორივე ფალავანი ფეხს კარგად იყენებდა. მეტოქენი არა მხოლოდ ერთნაირი სტილისანი ჩანდნენ, თანაბარი ძალითაც ჭიდაობდნენ. და აი, როცა შეხვედრის დასრულებამდე 44 წამი რჩებოდა, ზურაბმა მოხერხებულად მოიგდო მარწუხებში ტაოი და... იპონი. ესეც ასე, ,ორი შერკინება — ორი იპონი!

მესამე მეტოქე ამერიკელ ოლსონის დამჯაბნელი ფრანგი დემონტფაუგონი იყო. ძლიერი, ჭკვიანი ფალავანი. რატომღაც, ზვიადაური წინანდებურად მკვირცხლად აღარ გამოიყურებოდა. იქნებ ტაქტიკა ჰქონდა ასეთი. ეს ფრანგი, რომელიც სიდნეიში მესამე პრიზიორი გახდა, 2001 წელს კი მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო, თავს არ ზოგავდა. შეხვედრის შუაწელში მსაჯმა ჩვენი ფალავანი გააფრთხილა პასიური ჭიდაობისთვის. კიდევ კარგი, მერე პასიურობისთვის, გვერდითი მსაჯის დაჟინებული მოთხოვნით, არბიტრმა ფრანგიც გააფრთხილა. უაღრესადაც დაძაბული ორთაბრძოლა ასეც დასრულდა. დაინიშნა დამატებითი დრო. ზვიადაურმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბა, პირველმა შეძლო ეფექტური ილეთის შესრულება. მაშინ, როცა დამატებითი დროის 1 წუთი და 13 წამი იყო გასული, ზვიადაურმა იუკო აართვა ძლიერ მეტოქეს და, წესისამებრ, პაექრობაც შეწყდა.

ფინალური ეტაპის შეხვედრამდე სამსაათიანი შესვენება გამოცხადდა. ნახევარფინალი ბრიტანელ ვინსტონ გორდონთან მძიმე გამოდგა, მაგრამ, მაინც ჩვენიანის გამარჯვებით დასრულდა. ამის შემდეგ ყველას ერთი სანერვიულო და საფიქრალი გვქონდა, — რას იზამდა ზურაბ ზვიადაური იაპონელ ნაროში იზუმისთან ოქროს მედლისთვის გადამწყვეტ პაექრობაში? შერკინების დროც დადგა. ზურაბს აშკარად ეტყობოდა თავდაჯერებულობა, ჭიდაობდა დინჯად, მოზომილად. პირველსავე წუთზე ქართველმა ფალავანმა იაპონელის წამოკიდება სცადა, მაგრამ მეტოქე დაუსხლტა. მერე იზუმისსაც მიეცა კარგი შანსი, მაგრამ ზვიადაურმა დროზე ჩაკეტა. იაპონელი უფრო ფრთხილი გახდა, იმდენად ფრთხილი, რომ პასიურობისთვის მსაჯისგან გაფრთხილებაც მიიღო. ზურაბი, პირიქით, აქტიურობას არ ანელებდა და სწორედ ის მომენტიც შეარჩია, როცა ძიუდოში ყველაზე რთული და ეფექტური ილეთის შესრულება შეიძლება — იპონი და ზვიადაური ოლიმპიური ჩემპიონია.

## სალუქვაძე უმედლოდ დარჩა...

ათენში, ოლიმპიურ თამაშებზე ტყვიის მსროლელმა ნინო სალუქვაძემ სპორტული პისტოლეტიდან სროლაში ვერც ერთი სინჯის მედალი ვერ მოიპოვა. იგი მერვე ადგილზე გავიდა — სულ 678,3 ქულა დააგროვა. ჩემპიონი კი ბულგარელი მარია გროზდევა გახდა 688,2 ქულით, ვერცხლის მედალი ლენკა პიკოვამ (ჩეხეთი) მოიპოვა, ხოლო ბრინჯაოსი — აზერბაიჯანელმა ირადა აშუმოვამ.

## ფინალში ვერ გავიდა

19 წლის ბირთვის მკვრელმა მარიამ ქევხიშვილმა ოლიმპიადაზე 36-ე ადგილი აჩვენა 39 მონაწილეს შორის და ფინალში ვერ მოხვდა. მარიამმა ბირთვი სამჯერ ისროლა, რომელთაგან საუკეთესო შედეგი იყო 15,06 მეტრი.

## გიორგაძე 22 -ე იყო

ოთხშაბათს ოლიმპიადაზე გამოსვლა დაასრულა ტანმოვარჯიშე ილია გიორგაძემ. მან მრავალჭიდის ფინალში 22-ე ადგილი დაიკავა 24 მონაწილეს შორის.

## პატარა ამბები ათენიდან

### დიმასი ფიცარნაგს მიღმა?

ოლიმპიადაზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბერძენ ძალოსანთა ლიდერი დიმასი, შეიძლება ოლიმპიურ ტურნირში ვერ ჩაებას და მედლისთვის ვერ იბრძოლოს. ორშაბათს დიმასს მარჯვენა ხელის მაჯაზე მიუღია ტრავმა და ღრმა სამედიცინო შემოწმება დიდად დამაიმედებელი არ არის.

„ახლა შეიძლება მე შტანგს არა მხოლოდ ცალი ფეხით, ცალი ხელითაც შევეჭიდო" – უთხრა დიმასმა ჟურნალისტებს და მიანიშნა, რომ ამ ორიოდე თვის წინათ მან ცალ ფეხზე მუხლის ოპერაცია გადაიტანა.

### სოკ-ის სამედიცინო კომისია შეუვალია

როგორც ვიუწყებოდით, ორი ბერძენი ძალოსანი დოპინგკონტროლზე არ გამოცხადდა, რისთვისაც ორივეს მიეცა დისკვალიფიკაცია. მერე გავრცელდა ინფორმაცია,. რომ ბერძენი მძლეოსნები ავტოკატასტროფაში მოჰყვნენ და ითხოვეს დოპინგზე შემოწმების გავლა ჰოსპიტალში, რაზედაც უარი მიიღეს.

სოკ-ის სამედიცინო კომისია მიიჩნევს, რომ საქმე ეხება რაღაც სტრატეგიულ ჩანაფიქრს, რადგან ორივე მძლეოსანი უკვე გამოწერეს საავადმყოფოდან და მოისურვეს ოლიმპიადაში მონაწილეობა.

,,ჩვენ მივმართავთ ერთადერთ ღონისძიებას, დავაყენებთ სოკ-ის დისციპლინარულ კომისიაზე ამ მძლეოსნების საქციელის განხილვის საკითხს'' — ნათქვამია სოკ-ის სამედიცინო კომისიის ოფიციალურ განცხადებაში.

### ბოიკოტი ტაქსის მძღოლებს

ათენში ტაქსით მგზავრობა არ არის ძვირი სიამოვნება. ამიტომ მძღოლებმა გადაწყვიტეს ხელისუფლებისგან გამოეთხოვათ ნებართვა, რომ ოლიმპიადაზე ჩასულ მგზავრს ზედმეტად გადაეხადა 3 ევრო. მოკლედ, ჩაჯდები თუ არა ტაქსში, ზედმეტი 3 ევრო უკვე გადასახდელი გაქვს, თუნდაც მგზავრობა 1 ევროს საფასური იყოს.

ათენის სტუმრებმაც ალღო აუღეს ამ ოინს და ტაქსში ჩაჯდომამდე კისრიდან იხსნიან აკრედიტაციის ბარათს და ინახავენ ჯიბეში. იმათგან კი, ვისაც ოლიმპიადის სტუმრის ეს უტყუარი დოკუმენტი კისერზე არ აქვს ჩამოკიდებული, მძღოლს ზედმეტი 3 ევროს მოთხოვნის უფლება არ აქვს. აი, ასე...

## გაზეთის დაბეჭდვამდე:

### ბრიტანელმა იახტსმენებმა ოქროს მედლები მოიპოვეს



ათენში, ოლიმპიური თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ იახტსმენთა საიახტნო სპორტში „ინგლინგის'' კლასის შეჯიბრებაში ოქროს მედლები მოიპოვეს ბრიტანელმა იახტსმენებმა — შირლი რობერტსონმა, სარა უებმა და სარა ეიტონმა.

### კორეული ფინალი ბადმინტონში

ვაჟთა შორის, ბადმინტონში გამართულ შეჯიბრებაში ნახევარფინალური მატჩები შედგა. სამხრეთ კორეულმა დუეტმა კიმ დონ მუნისა და ხა ტაე-კვონის შემადგენლობით 15:8, 15:2 დაამარცხეს ინდონეზიელები – ენგ ნიანი და ფლანდი ლიმპელე, გამარჯვებულებს ფინალში ბრძოლა მოუწევთ თანამემამულეებთან – ლი დონ სუსა და იონგ სუნგის წყვილთან.

### მსოფლიო რეკორდი

ჩინელმა ძალოსანმა ჩუნ ხონ ლიუმ, რომელიც გუშინ 69 კგ. წონით კატეგორიაში ასპარეზობდა, მსოფლიო რეკორდი დაამყარა აკვრაში. იგი 122,5 კგ-ს მოერია. წინა რეკორდი — 120 კგ. მასვე ეკუთვნოდა, რომელიც 2003 წლის 19 ნოემბერს ვანკუვერში დაფიქსირდა.

### ამერიკელებმა ავსტრალიელებს აჯობეს

ოლიმპიადის საკალათბურთო ტურნირში, გუშინ აშშ-ის ვაჟთა ნაკრებმა აღმავლობით ჩაატარა შეხვედრა ავსტრალიის ნაკრებთან და გაიმარჯვა 10 ქულის სხვაობით 89:79. მაინც აშკარაა, რომ ნბა-ს ვარსკვლავებს აშკარად უჭირთ სვა ქვეყნის ნაკრებებთან თამაში.

### ოქროს მედლის გაყიდვას აპირებს...

ათენში, ოლიმპიურ თამაშებში ოქროს მედალი 200 მეტრ. დისტანციაზე ბატერფლაით ცურვაში მოიპოვა პოლონელმა ოტილია ედრჟეიჩაკმა. მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ოქროს მედალს აუქციონზე გაიტანს გასაყიდად, ხოლო შემოსავალს ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა დახმარების ფონდს გადაურიცხავს.

### 17-წლიანი რეკორდი მოიხსნა

თავისუფალი სტილით 4X200 მეტრზე მოცურავეთა ასპარეზობაში ამერიკელმა ქალებმა მოხსნეს რეკორდი, რომელიც თავის დროზე – 17 წლის წინ (!) გდრ-ის ნაკრებმა დაამყარა (7 წუთი, 55, 47 წამი) და იქიდან მოყოლებული გუშინწინდლამდე ხელუხლებელი იყო. ნავსი ამერიკელმა ქალთა ოთხეულმა – ნატალი კაფლინმა, კერლი პაიპერმა, დანა ვოლმერმა და კეტლინ სანდენომ გატეხეს – მათ აღნიშნული ესტაფეტა 7 წუთსა და 53,42 წამში გაცურეს.

# ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები

## 16 აგვისტო

**ცურვა**

**200 მეტრი თავისუფალი, ვაჟები**
1. იან ტორპი (ავსტრალია) — 1:44.71; 2. პეტერ ჰოოგენბანდი (ჰოლანდია) — 1:45.32; 3. მაიკლ ფელპს (აშშ) — 1:45.32.

**100 მეტრი გულაღმა, ვაჟები**
1. აარონ პირსოლი (აშშ) — 54.06; 2. მარკუს როგანი (ავსტრალია) — 54.35; 3. ტომომი მორიტა (იაპონია) — 54.36.

**100 მეტრი გულაღმა, ქალები**
1. ნატალი კაფლინი (აშშ) — 1:00.37; 2. კირსტი ქოვენთრი (ზიმბაბვე) — 1:00.50; 3. ლორ მანოდუ (საფრანგეთი) — 1:00.88.

**100 მეტრი ბრასით, ქალები**
1. სიუძუან ლუო (ჩინეთი) — 1:06.64; 2. ბრუკ ჰენსონი (ავსტრალია — 1:07.15; 3. ლეიზელ ჯონსი (ავსტრალია) — 1:07.16.

**ფარიკაობა**

**რაპირა. ვაჟები, პირადი**
1. ბრის გაიარი (საფრანგეთი); 2. სალვატორე სანცო (იტალია); 3. ანდრეა კასარა (იტალია).

**ძალოსნობა**

**ვაჟები 62 კგ**
1. ში ჭიონკი (ჩინეთი) — 325.0; 2. ლი მაოშენკი (ჩინეთი) — 312.5; 3. ლეონიდას სამპანისი (საბერძნეთი) — 312.5.

**ტანვარჯიში**

**ვაჟთა გუნდური პირველობა**
1. იაპონია (ტაკეჰირო, კაშიმა, ნისაში მიცუტორი, დაისუკე ნაკანო, ჰიროიუკი ტომიტა, ნაოია ცუკახარა, ისაო იონედა) — 173,821; 2. აშშ (ჯეისონ გეტსონი, მორგან ჰემი, პოლ ჰემი, ბრეტ მაკკლური, ბლეინ ვილსონი, გარდ იანგი — 172,384; 3. რუმინეთი (მარიან დრაგულესკუ, ილიე პოპესკუ, დან პოტრა, რაზვან სელარიუ, იოან სუჩუ, მარიუს ურზიკა) — 172,384.

**წყალხტომა**

**3 მ ტრამპლინი, ვაჟთა წყვილები**
1. ნიკოლაოს სირანიდისი, თომას ბიმისი (საბერძნეთი) — 353,34; 2. ანდრეას ველსი, თობიას შელენბერგი (გერმანია) — 350,01; 3. რობერტ ნიუბერი, სტივენ ბარნეტი (ავსტრალია) — 349,59.

**10 მ კოშკურა. ქალთა წყვილები**
1. ლაო ლიში ლი თინკი (ჩინეთი) — 352,14; 2. ნატალია გონჩაროვა, იულია კოლტუნოვა (რუსეთი) — 340,92; 3. ბლაის ჰარტლი, ემილი ეიმონსი (კანადა) — 327,78

## 17 აგვისტო

**ძიუდო**

**ვაჟები, 81 კგ**
1. ილიას ილიადისი (საბერძნეთი); 2. რომან გონტიუკი (უკრაინა); 3. დმიტრი ნოსოვი (რუსეთი) და ფლავიო კანტო, ბრაზილია.

**ქალები. 57 კგ.**
1. აიომი ტანიმოტო (იაპონია), 2. კლაუდია ჰაილი (ავსტრია), 3. ურსკა ზოლნირი (სლოვენია) და დრიულის გონსალესი (კუბა).

**სასტენდო სროლა**

**ვაჟები. ორმაგი სასანგრე სტენდი**
1. აჰმედ ალ-მაქთუმი (ემირატები) — 189; 2. რაჯიავარდჰან რატჰორი (ინდოეთი) — 179; 3. ვანკ ჭენკი (ჩინეთი) — 178.

**ტყვიის სროლა**

**ვაჟები. სპორტული პისტოლეტი (50 მ)**
1. მიხაილ ნესტრუევი (რუსეთი) — 663.3; 2. ჯინ ჯონგ ოი (კორეა) — 661.5; 3. კიმ ჯონგ სუ (კორეა) — 657.7.

**ფარიკაობა**

**დაშნა, ვაჟები. პირადი**
1. მარსელ ფიშერი (შვეიცარია); 2. ვანკ ლეი (ჩინეთი); 3. პაველ კოლობკოვი (რუსეთი).

**ხმალი, ქალები. პირადი**
1. მარიელ ზაგუნისი (აშშ); 2. სადა ჯეკობსენი (აშშ); 3. სიუ ტანი (ჩინეთი).

**ცურვა**

**200 მეტრი ბატერფლაი, ვაჟები**
1. მაიკლ ფელპსი (აშშ) — 1:54.04; 2. ტაკაში იამამოტო (იაპონია) — 1:54.56; 3. სტივენ პენი (ბრიტანეთი) — 1:55.52.

**4X200 მეტრი თავისუფალი, ვაჟები**
1. აშშ (მაკლ ფელპსი, რაიან ლოქტი, პიტერ ვანდერკაი, კლიტ კელერი) — 7.07,33; 2. ავსტრალია (გრანტ ჰეკეტი, მაიკლ კლიმი, ნოკოლას სპრენგერი, იან ტორპი) — 7.07,46; 3. იტალია (ემილიანო ბრამბილა, მასიმილიანო როსოლინო, სიმონე ჩერკატო, ფილიპო მანინი) — 7.11,83.

**200 მეტრი თავისუფალი, ქალები**
1. კამელია პოტეკი (რუმინეთი) — 1:58.03; 2. ფედერიკა პელეგრინი (იტალია) — 1:58.22; 3. სოლენ ფიგი, (საფრანგეთი) — 1:58.62.

**200 მეტრი კომპლექსური, ქალები**
1. იანა კლოჩკოვა (უკრაინა) — 2:11,14, 2. ამანტა ბერდი (აშშ) — 2:11.70; 3. კირსტი ქოვენთრი (ზიმბაბვე) — 2:12.72.

**ტანვარჯიში**

**ქალთა გუნდური პირველობა**
1. რუმინეთი (ოანა ბანი, ალექსანდრა ერემია, კატალინა პონორი, მონიკა როსუ, ნიკოლეტა სოფრონიე, სილვია სტროესკუ) — 85,534; 2. აშშ (მოჰინი, ბჰარდვაჯი, ანია პეტჩი, იერინ ჰამფრი, კურტნი კუპეცი, კურტნი მაკქული, კარლი პატერსონი) —85,410.
3. რუსეთი (ლუდმილა ეჟოვა, სვეტლანა ხორკინა, მარია კრიუჩკოვა, ანა პავლოვა, ელენა ზამოლოდჩიკოვა, ნატალია ძიგანჩინა) — 84,973.

## 18 აგვისტო

**ძიუდო**

**ვაჟები, 90 კგ**
1. ზურაბ ზვიადაური (საქართველო); 2. ჰიროში იზუმი (იაპონია); 3. ხასანბი ტაოვი (რუსეთი) და მარკ ჰუზინგი (ჰოლანდია).

**ქალები, 70 კგ**
1. მასაე უენო (იაპონია), 2. ედიტ ბოსხი (ჰოლანდია); 3. ანეტ ბიომი (გერმანია) და ცინ ტონკია (ჩინეთი).

**ტყვიის სროლა**

**ქალები. სპორტული პისტოლეტი, 25 მ**
1. მარია გროზდევა (ბულგარეთიი) — 688,2; 2. ლენკა ჰიკოვა (ჩეხეთი) — 687.2; 3. ირადა აშუმოვა (აზერბაიჯანი) — 687.3.

**სასტენდო სროლა**

**ქალები. ორმაგი სასანგრე სტენდი**
1. კიმბერლი როდი (აშშ) — 146; 2. ლი ბო ნა (კორეა) — 145; 3. კაო ე (ჩინეთი) — 142.

**ნავსლალომი**

**ვაჟები. ერთადგილიანი კანოე**
1. ტონი ესტანგე (საფრანგეთი) — 189.16; 2. მიხალ მარტიკანი (სლოვაკეთი) — 189,28; 3. შტეფან პფანმიოლერი (გერმანია) — 191.56.

**ქალები. ერთადგილიანი კაიაკი**
1. ელენა კალოსკა (სლოვაკეთი) — 210.03; 2. რებეკა გიდენსი (აშშ) — 214.62; 3. ჰელენ რივზი (ბრიტანეთი) — 218.77.

**ფარიკაობა**

**რაპირა, ქალები, პირადი**
1. ვალენტინა ვეძალი (იტალია); 2. ჯოვანა ტრილინი (იტალია); 3. სილვია გრუჩალა (პოლონეთი).

**მშვილდოსნობა**

**ქალთა პირადი პირველობა**
1. პარკ სუნგ ჰიუნი (კორეა); 2. ლი სუნგ ჯინი (კორეა); 3. ალისონ ვილიამსონი (ბრიტანეთი).

**ტანვარჯიში**

**ვაჟთა მრავალჭიდი**
1. პოლ ჰემი (აშშ) — 57.823; 2. კიმ დაე ევნი (კორეა) — 57.811; 3. იანგ ტაე იუნგი (კორეა) — 57.774.

**ძალოსნობა**

**ქალები. 63 კგ**
1. ნატალია სკაკუნი (უკრაინა) — 242.5; 2. ჰანა ბაციუშკა (ბელარუსი) — 242.5; 3. ტატიანა სტუკალევა (ბელარუსი) — 222.5.

**ვაჟები 69 კგ**
1. ჭანკ კუოჭენკი (ფინეთი) — 347,5; 2. ლი ბაე იუნგი (კორეა) — 342.5; 3. ნიკოლაი პეშალოვი (ხორვატია) — 337.5.

**ცურვა**

**200 მეტრი ბრასი, ვაჟები**
1. კოსუკე კიტაძიმა (იაპონია) — 2.09,44; 2. დანიელ დიურტა (უნგრეთი) — 2.10,80; 3. ბრენდან ჰანსენი (აშშ) — 2.10,87.

**100 მეტრი თავისუფალი, ვაჟები**
1. პეტერ ვან ჰოოგენბანდი (ჰოლ.) — 48.17; 2. როლანდ მარკ შუმანი (სამხ. აფრ) — 48.23; 3. იან ტორპი (ავსტრალია) — 48,56.

**200 მეტრი ბატერფლაი, ქალები**
1. ოტილია ედრჟეიჩაკი (პოლონეთი) — 2.06,05; 2. პეტრია თომასი (ავსტრალია) — 2.06,36; 3. იუკო ნაკანიში (იაპონია) — 2.08,04.

**4X200 მეტრი თავისუფალი, ქალები**
1. აშშ (ნატალი კაფლინი, კარლი პაიპერი, დანა ვოლმერი, კეიტლინ სანდენო) — 7.53,52; 2. ჩინეთი (ჭუ ინკვენი, სიუ იანვეი, იანკ იუ, ფანკ ძიაინკი) — 7.57,35;; 3. გერმანია (ფრანცისკა ვან ალმზიკი, პეტრა დალმანი, პანტიე ბუშულტე, ჰანა შტოკბაუერი) — 7.57,40.

**მძლეოსნობა**

**ინდივიდუალური რბოლა, 24 კმ. ქალები**
1. ლეონტიენ ზაილაარდი (ჰოლ.) — 31.11,53; 2. დირდრე დემეტ-ბერი (აშშ) — 31. 35,62; 3. კარინ ტუერიგი (შვეიცარია) — 31.54, 89.

**ინდივიდუალური რბოლა, 48 კმ. ვაჟები**
1. ტაილერ ჰამილტონი (აშშ) — 57.31,74; 2. ვიაჩესლავ ეკიმოვი (რუსეთი) — 57.50,58; 3. ბობი ჯულიჩი (აშშ) — 57.58.19.

**მძლეოსნობა**

**ბირთვის კვრა. ქალები**
1. ირინა კორჟანენკო (რუსეთი) — 21.06; 2. იუმილეიდი კუმბა (კუბა) — 19.59; 3. ნადინ კლაინერტი (გერმანია) — 19.55.

**ბირთვის კვრა. ვაჟები**
1. იური ბილონოგი (უკრაინა) — 21.16; 2. ადამ ნელსონი (აშშ) — 21.16; 3. იოაკიმ ოლსენი (დანია) — 21.07.

**ცხენოსნობა**

**სამჭიდი, გუნდური**
1. გერმანია (ანდრეას დიბოვსკი, ჰენრიხ რომაიკე, ფრანკ ოსტჰოლტი, ინგრიდ კლიმკე, ბეტინა ჰოი); 2. საფრანგეთი (არნო ბუატო, სედრიკ ლიარი, დიდიე კურეჟი, ჟან ტოილერი, ნიკოლა ტუზიაი); 3. ბრიტანეთი (ჯანეტ ბრეიკველი, მერი კინგი, ლეზლი ლოუ, ფილიპა ფიუნელი, ვილიამ ფოქს-პიტი).

**სამჭიდი, პირადი**
1. ბეტინა ჰოი (გერმანია); 2. ლეზლი ლოუ (ბრიტანეთი); 3. კიმბერლი სივერსონი (აშშ).



# მოლდოვა – საქართველო
# ისევ წარუმატებლობა

**ამხანაგური მატჩები**
**ეროვნული ნაკრებები**
**18 აგვისტო. ტირასპოლი. ცენტრალური სტადიონი. 8500 მაყურებელი**
**მოლდოვა – საქართველო 1-0**
**მოლდოვა:** ხმარუკი, კოვალენკო, ლოშანკოვი (ბურსუკი 75), ოლექსიჩი, კატენსუსი, პრიგანიუკი, კოვალჩუკი (ბარიშევი 88), ჩებოტარი, სავინოვი (ს. ივანოვი 71), როგაჩოვი (კალინკოვი 60), მიტერევი, (კლეშჩენკო 79).
**საქართველო:** ლომაია, მჟავანაძე, ხიზანიშვილი, კალაძე, კვარაცხელია, კობიაშვილი (აფციაური 79), ცქიტიშვილი (დ. მუჯირი 46), ბურდული, ჯამარაული, ა. იაშვილი (ჯაკობია 46), დემეტრაძე (ალექსიძე 61).
**გოლი:** 1-0 მიტერევი (67)
**გააფრთხილეს:** კალაძე (37), ჯამარაული (85), ბურსუკი (85), ალექსიძე (87), ბარიშევი (90)
**მსაჯი:** ვ. გოლუბინი (უკრაინა).
**ახალგაზრდული ნაკრებები**
**18 აგვისტო. კიშინიოვი. რესპუბლიკური სტადიონი. 200 მაყურებელი**
**მოლდოვა – საქართველო 1-3**
**მოლდოვა:** რაიუსი, ბორდიანი, ფრანცუზი, ბუგარი (ჩელტიაია 51), ბოლონა 75), მოლდვატენკო, ეპურიანუ, გატიში, ხრამოი (ონიკა 60), დოროში (ალექსეევი 53), იაპალი, იოჰანი (სოლინინი 81).
**საქართველო:** თოთლაძე, ციმაკურიძე, კაშია, იმედაშვილი, ლომიძე (გეწაძე 86), ბურნაძე (ებანოიძე 86), გ. ნუგზარის ძე ჭელიძე (გრიგალაშვილი 64), ალადაშვილი, კანკავა, ხოჯავა (გ. ნოდარის ძე ჭელიძე 55), ი. მოდებაძე (მარცვალაძე 55).
**გოლები:** 0-1 ბურნაძე (25), 0-2 მოდებაძე (40 პ), 1-2 ალექსეევი (63), 1-3 მარცვალაძე (88).
**გააფრთხილეს:** კაშია (25), იაპალი (49)
**მსაჯი:** ვ. ბონარი (მოლდოვა).

საქართველოს ეროვნული ნაკრების სავალი გზა რალაცნაირად დაინავსა. წლეულს, ნაკრებს თამაში არ მოუგია. უქირს გუნდს „ფრანგულთან" შეგუება. ქირესის მეორე ოფიციალური მატჩიც მარცხით დამთავრდა. პირველი ტაიმი ნულოვანი ფრეთი ალინიშნა, თუმცა, მეორე ტაიმში, მასპინძლებმა მაინც შეძლეს სტუმრების წინაალმდეგობის დაძლევა და ერთადერთი გამარჯვების მომტანი გოლიც გაიტანეს. ეროვნული გუნდის თავკაცებს სამუშაო და გამოსასწორებელი შესარჩევ ციკლამდე თავზე საყრელი აქვთ. პრობლემებია ყველა რგოლში, ტაქტიკაში, სტრატეგიაში, ფსიქოლოგიურ მზადყოფნაში. გუნდს ტრავმები მოეძალა. მართალია, ტირასპოლში სრულყოფილი შემადგენლობით ვერ წავიდა ნაკრები, მაგრამ არავის ესწავლება — ნებისმიერი წარუმატებლობა დამთრგუნველად მოქმედებს გუნდზე. თავი მხოლოდ იმით ვინუგეშოთ, რომ ეს მარცხი ჯერჯერობით ამხანაგურ მატჩებში ხდება და ვისურვოთ, რომ წაგებათა სერია ამ მატჩით ამოიწურება. წლეულს, ოთხი უძნელესი მატჩი, შესარჩევი ციკლი გველის და ცაიტნოტის მიუხედავად, უნდა მოვასწროთ პრობლემების დაძლევა. პირველ მატჩამდე, ტრაბზონში თურქებთან თვეზე ნაკლები რჩება, დრო არ ითმენს.

გაგვახარეს გოჩა ტყებუჩავას შეგირდებმა. საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ყოველმხრივ დაჯაბნა მასპინძელი თანატოლები და დამსახურებულად გაიმარჯვა — 3-1. სტუმრები მთელი მატჩის განმავლობაში დომინირებდნენ და ტაბლოზეც შეხვედრის ლოგიკური შედეგი აისახა.

## შედეგზე თამაში უნდა შევძლოთ

მოლდოვასთან მატჩის შემდეგ ჩამოსვლისთანავე ქირესი ჟურნალისტებს შეხვდა და განვლილ ბატალიებზე საკმაოდ ემოციურად ილაპარაკა. მან ისრაელთან ჩატარებული მატჩიც გაიხსენა. მწვრთნელის შეხედულებით საქართველოს ნაკრების უმთავრესი ნაკლი მისი ნაკლებ ეფექტურობაა. გვიჭირს უპირატესობის რეალიზაცია. როდესაც ვფლობთ უპირატესობას მისი სრული გამოყენება უნდა შევძლოთ. გამოვრიცხოთ ბურთის ზედმეტად თრევა და ჩვენს თამაშს მეტი ეფექტურობა უნდა შევძინოთ. მეტოქეს უპირატესობა, თავს უნდა მოვახვიოთ, რითაც თამაში უფრო მიზანმიმართული გახდება. მიუხედავად ორი სანაკრებო მარცხისა, ქირესი თვლის, რომ გუნდის მშენებლობის პროცესი მაინც წინ მიდის. ფეხბურთელებს ესმით რა როგორ გააკეთონ და შემდგომში უფრო მაღალ დონეზე გასვლისთვის რა არის საჭირო. მეტი ქინის, გამარჯვების სურვილის გამოვლენის შემთხვევაში შედეგიც შესაბამისი გვექნება.

## წალკაში ფეხბურთი აღორძინდება

წალკაში მადლიან საქმეს ჩაეყარა საფუძველი. ფეხბურთის მოყვარულთა წამოწყებას თანამოაზრეები და მიმდევრები გამოუჩნდნენ. სულ ორიოდე თვეა, წალკაში ბავშვთა საფეხბურთო სკოლა და ფეხბურთის გუნდი „თრიალეთი" დაფუძნდა. სკოლაში 6-დან 16 წლამდე ასაკის 85 ბავშვი სწავლობს ფეხბურთის ანბანს. „თრიალეთი" კი რეგიონული ლიგის ცენტრალურ ზონაში ისპარეზებს. საფეხბურთო კლუბში რაიონის ყველა ეროვნების წარმომადგენელია გაერთიანებული. გუნდის ძირითად ბირთვს ადგილობრივი ფეხბურთელები შეადგენენ. „თრიალეთის" ღირსებას ქართველები, სომხები, ბერძნები და რუსები ერთად დაიცავენ. **კლუბის პრეზიდენტია დავით გიორგაძე, ვიცე-პრეზიდენტია ხათუნა ჩხაიძე, მენეჯერი – მამუკა ბერიძე. მთავარი მწვრთნელი საფეხბურთო წრეებში – ცნობილი, ყოფილი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი თემურ მაჭარაძე, მწვრთნელი – რევაზ კახაძე.** საფეხბურთო სკოლისა და კლუბის ჩამოყალიბებას რაიონისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობა ენთუზიაზმით შეხვდა. **ამ წამოწყების ინიციატორები წალკის გამგებელი მიხეილ ცქიტიშვილი და ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე ბერძენი ნუგზარ ჩამულიევი არიან.** კლუბის პრეზიდენტის განმარტებით, საფეხბურთო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების იდეა კარგახანი არსებობდა და ახლახან განხორციელდა კიდეც. რაიონისა და ქალაქის ხელმძღვანელობა, მოსახლეობა კეთილმა საქმემ გააერთიანა. ქალაქის თავკაცები ფეხბურთის მოყვარული ხალხია და არც კლუბს მოაკლდება მათი ყურადღება. გამგებლის რამდენიმე მეწარმესთან შეხვედრამ საშვილიშვილო საქმე მკვდარი წერტილიდან დაძრა. წალკაში ფეხბურთის აღორძინება მთლიანად სპორტის განვითარებას შეუწყობს ხელს, ქალაქშიც და რაიონშიც.

რეგიონული ლიგის ცენტრალური ზონის პირველობა ორშაბათს დაიწყება. „თრიალეთი" პირველ ოფიციალურ მატჩს შინ, წალკის ცენტრალურ სტადიონზე ჩაატარებს და გარდაბნის „სამგორს" უმასპინძლებს. ამჟამად, რემონტდება სტადიონის საშხაპეები, გასახდელები, მსაჯთა ოთახი, ტრიბუნები, საწვრთნელი ბაზა და „თრიალეთი" სრულ მზადყოფნაში შეხვდება პირველობის დასაწყისს.

## მილჩენკო ქალებს მიხედავს

**ქართული სამსაჯო კორპუსის მეთაური ანატოლი მილჩენკო 15 სექტემბერს, ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს დაესწრება უეფას მსაჯების დამკვირვებლის რანგში. ყაზახეთის ქალ ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები ესტონელ დიაცებს დაუპირისპირდება. მეექვსე შესარჩევ ჯგუფში ამ ორი გუნდის გარდა, ბელორუსი და ებრაელი მანდილოსნებიც ასპარეზობენ.**

### იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და ინსპექტორთა ასოციაციის

## განცხადება

გაცნობებთ, რომ დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ლიგის (XVI ჩემპიონატის და თასის მატჩების მსაჯებისა და ინსპექტორების ტესტირება ჩატარდება 20 აგვისტოს. მსაჯებისათვის — ქუთაისის ტორპედოს ცენტრალურ სტადიონზე 10 საათზე. ხოლო ინსპექტორებისათვის — 20 აგვისტოს ფეხბურთის ფედერაციის ოფისში (თამარ მეფის ქ. №32). მსაჯებმა უნდა წარმოადგინონ ჯანმრთელობის ცნობა №286, ორი ფოტოსურათი.

ინსპექტორებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №286;
2. ცნობა სამუშაო ადგილიდან (საფეხბურთო კლუბების თანამშრომლები ინსპექტორებად არ დაინიშნებიან);
3. ორი ფოტოსურათი 3X4.

საფეხბურთო მატჩის ინსპექტორს უნდა გააჩნდეს ფეხბურთში მუშაობის გამოცდილება.

პირები, რომლებიც დადგენილ ვადაში არ გაივლიან ტესტირებას, თამაშებზე არ დაიშვებიან.

კონსულტაციები ჩატარდება ირფფში ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს.

ინსპექტორთა ასაკობრივი ცენზი განისაზღვრება 45 წლიდან 70 წლის ჩათვლით.

**იმერეთის ფეხბურთის რეგიონალური ფედერაცია.**

## მეგობრული ვიზიტი

**გამოჩენილი სომეხი ვეტერანი ფეხბურთელი, ერთ დროს სომხეთის ეროვნული ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი ხორენ ოგანესიანი თბილისს ორი დღით ესტუმრა. – „ჩემი ჩამოსვლის მიზანი მეგობრების მონახულება და მათთან შეხვედრაა" – განაცხადა სტუმარმა. ამჟამად, საფეხბურთო კლუბ „პიუნიკის" პრეზიდენტი ხორენ ოგანესიანი ადმინისტრაციულ და სამწვრთნელო საქმიანობას ერთმანეთს უხამებს. იგი ამავე დროს, სომხეთის 19 წლამდე ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელიცაა. რა თქმა უნდა, მეგობრებთან შეხვედრის მთავარი თემა ისევ ფეხბურთი იყო. ხორენ ოგანესიანს სურს თბილისს ხელმეორედ ნაკრებით ეწვიოს და შეგირდები ქართველ თანატოლებს ამხანაგურად გააჯიბროს. მეგობრების, სფფ-ის თავკაცებს იგი ამ საკითხზეც მოელაპარაკებოდა.**

## საქართველოს თასი
## მეთექვსმეტედფინალი
# ამერ-იმერი



**დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის XV გათამაშების მეთექვსმეტედფინალში 24 გუნდი იასპარეზებს. ამ ეტაპზე არ მონაწილეობს უმაღლესი ლიგის, ევრო თასებზე მოთამაშე 4 გუნდი. ფარმკლუბები თასის გათამაშებაში საერთოდ არ მონაწილეობენ. 6 გუნდი უმაღლეს ლიგას წარმოადგენს, 12 – პირველ ლიგას და 6 (შესარჩევი ეტაპის გამარჯვებული) – რეგიონულ ლიგას.**

**ოთხშაბათს გამართულმა კენჭისყრამ გუნდები ასე დააწყვილა:**

ტორპედო (ქუთაისი) — გურია (ლანჩხუთი)
კოლხეთი 19134 (ფოთი) — ეგრისი (სენაკი)
დინამო (ბათუმი) — კოლხეთი (ხობი)
ზესტაფონი — მალაროელი (ჭიათურა)
ჩიხურა (საჩხერე) — ამერი (თბილისი)
ლოკომოტივი (თბილისი) — ივერია (ხაშური)
მილანი-მერანი (წნორი) — კახეთი (თელავი)
სიონი (ბოლნისი) — ბორჯომი
რუსთავი — ჭაბუკიანი
სპარტაკი (თბილისი) — ცხუმი (სოხუმი)
ცხინვალი — მუხრანი
პრემა (თბილისი) — საგარეჯო

**პირველი მატჩები 25 აგვისტოს გაიმართება, საპასუხოები – 3 სექტემბერს.**



Coca-Cola

## ვილაც წინ წავა

სანაკრებო ბატალიების შემდეგ ეროვნული ჩემპიონატი ისევ განახლდება. სატურნირო ვითარების გათვალისწინებით, IV ტურის თითოეულ მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება. ქუთაისში ჩემპიონატის უპირობო ლიდერები შეერკინებიან ერთმანეთს. „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" პაექრობას მუდამ ინტერესით ელოდება გულშემატკივარი. მატჩის მნიშვნელობას, ისიც ზრდის, რომ ორივე გუნდს, სამი ტურის შემდეგ ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვთ. ამიტომ შეხვედრის შედეგის გამოცნობა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. წინსვლის პერსპექტივა ორივეს აქვს და შანსის გამოყენებას ორივე ეცდება. ქუთაისელებს ის უპირატესობა აქვთ, რომ შინ თამაშობენ, თანაც, მანამდე ჩატარებულ მატჩებში „ტორპედო" ჩინებულად იცავდა თავს და შედეგიანადაც უტევდა მეტოქეთა კარს. გეგუჩაძის ახალგაზრდული „დინამო" კი მატჩიდან მატჩამდე იზრდება და იხვეწება, ამას დაუმატეთ ევროპული შეხვედრების გამოცდილება და ნათელი გახდება თუ რა დონის ძალა დაუპირისპირდება ერთმანეთს. ეს შეხვედრა, ახლახან დაწყებულ ჩემპიონატში ყველაზე გამორჩეულია, რაც უეჭველია ქომაგებსაც მიიზიდავს სტადიონზე. „ტორპედოსა" და „დინამოს" მატჩისას ქუთაისელები განსაკუთრებული შემართებით გულშემატკივრობენ თავისიანებს და თბილისელებსაც ძნელი გამოცდა ელით სავარდო და სამაისო ქალაქში.

ლიდერთა ორი მდევარი მცხეთაში დაუპირისპირდება ერთმანეთს. ჯერჯერობით, დაუმარცხებელ ბათუმის „დინამოს" მუხლის სიმაგრეს და საფეხბურთო განსწავლულობას დედაქალაქის „ვიტ ჯორჯია" შეუმოწმებს. გუნდებს შორის სხვაობა ერთი ქულაა და აქაც უშელავათო ორთაბრძოლის მოწმენი ვიქნებით.

თანაბარი ძალის მეტოქეები გააგორებენ ბურთს ვაკეში. ბოლნისელები თბილისში ჩამოვლენ და „ლოკომოტივის" დეპოში შეყვანას შეეცდებიან. განვლილი ჩემპიონატის შემდეგ ორივე კლუბი, თითქმის მთლიანად შეიცვალა, როგორც სტრუქტურულად, ისე შემადგენლობით, ამიტომ აქაც რთულია ფავორიტის დასახელება.

ამბიციებითა და ახალგაზრდული შემართებით გამორჩეული „თბილისი", აუტსაიდერ „დილას" უმასპინძლებს. გორელებს საკუთარი ხელწერა ჯერ ვერ უპოვიათ, რაც მასპინძელთა შანსებს ერთიორად ზრდის. „დილას" კი გონს მოსასვლელად, თუნდაც ქულა ჰაერივით სჭირდება.

განვლილ ტურებში ვერაფრით გამოიჩინეს თავი ზესტაფონელებმა და ფოთელებმა. ჩემპიონატის დებიუტანტებს აშკარად უჭირთ უმაღლეს ლიგასთან შეგუება. ქართული მასშტაბებით წელგამართული „ზესტაფონისთვის", ჯერჯერობით ქულაც სანატრელია, ანალოგიურ დღეშია „კოლხეთი". თუმცა, ხვალინდელ მატჩში ქულა ან ქულები შეიძლება ორივემ მოიპოვოს. მეოთხე ტურის შემდეგ კიდევ ერთი ტური ჩატარდება. მერე კი, ორკვირიანი შესვენებაა და კლუბებსაც ამოსუნთქვის და საშუალედო ფინიშის შედეგების შეჯერების საშუალება ექნებათ. ჩვენთვის, ქომაგთათვის დასვენება არ შეიძლება. მოდუნების უფლებას სანაკრებო მატჩები არ მოგვცემს.

**საქართველოს XVI ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში**
**IV ტური**
**უმაღლესი ლიგა**

**უმაღლესი ლიგა, IV ტური**
**ხვალ. 21 აგვისტო.**
ვიტ-ჯორჯია — დინამო (ბთ)
ლოკომოტივი — სიონი
ზესტაფონი — კოლხეთი 1913
ტორპედო — დინამო (თბ)
**ზეგ. 22 აგვისტო.**
თბილისი — დილა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 3 | 3 | 0 | 0 | 13-3 | 9 |
| ტორპედო | 3 | 3 | 0 | 0 | 7-0 | 9 |
| დინამო (ბთ) | 3 | 2 | 1 | 0 | 3-0 | 7 |
| თბილისი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-5 | 6 |
| ვიტ-ჯორჯია | 3 | 2 | 0 | 1 | 7-5 | 6 |
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| სიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-10 | 3 |
| დილა | 3 | 0 | 0 | 3 | 3-7 | 0 |
| კოლხეთი-1913 | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |
| ზესტაფონი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-11 | 0 |

**ბომბარდირი**
მელქაძე (დინამო თბ) — 3

## ამერული ომახიანი

დაიწყო პირველი ლიგის გათამაშებაც და რამდენიმე კლუბმა პირველივე ტურში გამოაჩინა კლანჭები, გამოამჟღავნა შესაძლებლობები და სურვილი ლიდერობისა. თუმცა, თექვსმეტ კლუბს ძალიან გრძელი და მომქანცველი გზის გავლა მოუწევს და მთავარი ბრძოლებიც წინ აქვთ. პირველი ტურის შემდეგ ლიგაში ასეთი ვითარებაა.

**პირველი ლიგა, I ტური**
ამერი (თბილისი) — ცხინვალი 6-0
ივერია (ხაშური) — მილანი-მერანი (წნორი) (გადაიდო)
სპარტაკი(თბილისი) — გურია(ლანჩხუთი) 0-0
მალაროელი (ჭიათურა) — საგარეჯო 0-0
ოლიმპი (თბილისი) — კახეთი (თელავი) 1-3
ლოკომოტივი2 (თბილისი) — ბორჯომი 0-3
დინამო2 (თბილისი) — რუსთავი 3-0
ჩიხურა (საჩხერე) — ვიტ ჯორჯია (მცხეთა) 1-1.

**II ტური**
**ანონსი**
**20 აგვისტო**
კახეთი — საგარეჯო
ვიტჯორჯია (მცხ) — მალაროელი
რუსთავი — ჩიხურა
გურია — დინამო2 (თბ)
მილანი-მერანი — სპარტაკი

**საქართველოს XVI ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში**
**I ტური**
**პირველი ლიგა**

ცხინვალი — ლოკომოტივი 2 (თბ)
ოლიმპი — ამერი.
**21 აგვისტო**
ბორჯომი — ივერია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 1 | 1 | 0 | 0 | 6-0 | 3 |
| ბორჯომი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| დინამო2 (თბ) | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| კახეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| ჩიხურა | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| ვიტჯორჯ(მცხ) | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| სპარტაკი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| გურია | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| მალაროელი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| საგარეჯო | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| ივერია | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| მილ-მერ | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| ოლიმპი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| ლოკომოტ2 | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |
| რუსთავი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |
| ცხინვალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-6 | 0 |

# საგარეჯოში დიდი ფეხბურთი იწყება

გაზეთ „კახეთის კარიბჭის“ მიმდინარე წლის 7 მაისის ნომერში გამოქვეყნდა გარეჯელი ფეხბურთელებისა და მათი გულშემატკივრებისათვის სასიამოვნო ცნობა საგარეჯოს „გარეჯისა“ და „ვიტ-ჯორჯიას“ საფეხბურთო კლუბების დაძმობილების შესახებ, რაშიც დიდი წვლილი პარლამენტარ გია ნაცვლიშვილს მიუძღვის. ამ საქმეში დიდი როლი ალბათ იმანაც ითამაშა, რომ საგარეჯო „ვიტ-ჯორჯიას“ პრეზიდენტის, ცნობილი ბიზნესმენის და მეცნიერის, პროფესორ გურამ რუხაძის დედულეთია და მან „გარეჯის“ ნორჩ ფეხბურთელებს სპორტული ფორმებისა და ინვენტარის შესაძენად გარკვეული თანხა გამოუყო. ამ ცნობაში, სხვათა შორის, ისიც იყო აღნიშნული, რომ მომავალში, გარკვეული სამუშაოების შემდეგ „ვიტ-ჯორჯიას“ ახალგაზრდული გუნდის ფეხბურთელები საგარეჯოს სტადიონზე ითამაშებდნენ. და აი, უკვე რამდენიმე კვირაა, რაც საგარეჯოს სტადიონზე მოსამზადებელი სამშენებლო სამუშაოებია გაჩაღებული, ახლა აქ ყოველდღიურად ათობით მშენებელი მუშაობს სტადიონის კეთილმოწყობისათვის. კერძოდ, თუ რა სამუშაოები ჩატარდება აქ, რა მონაწილეობას იღებს მასში „ვიტ-ჯორჯიას“ ხელმძღვანელობა, ან როგორია ამ კლუბთან საგარეჯოელი ფეხბურთელების ურთიერთპარტნიორობის შემდგომი პერსპექტივა, გვესაუბრება საგარეჯოს რაიონის გამგებლის მოადგილე ბატონი დავით ბაკურაძე, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს აღნიშნულ საქმეს.



◆ ***ბატონო დავით. ცხადია ამ ქვეყანაზე თავისით არაფერი ხდება და „ვიტ-ჯორჯიას“ და „გარეჯის“ დაძმობილება გარკვეულ ინტერესთა თანხვედრის შედეგად მოხდა. ზოგიერთი ამას გურამ რუხაძის წარმომავლობით ხსნის, რა თქმა უნდა, ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ამ საქმეში ბატონი გია ნაცვლიშვილის როლიც, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ „ვიტ-ჯორჯიას“ თავისი საკუთარი სათამაშო მოედანი არ გააჩნია და ამ საქმეში „ლომის წილი“ სწორედ ამ გარემოებამ ითამაშა. თქვენ ამის შესახებ რა აზრის ბრძანდებით?***

– ამ საქმეში არც ერთი ფაქტორი გამორიცხული არ არის. მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ ამ ორი სპორტული კლუბის დაახლოებით საგარეჯოში მეტად დიდი და საშვილიშვილო საქმე გაკეთდა. ჯერ ერთი, რომ სათანადო ყურადღება მიექცევა რაიონში ფეხბურთის, როგორც სპორტის პოპულარული სახეობის აღორძინებას და მეორეც, ჩვენს ფეხბურთელებს უჩნდებათ „ვიტ-ჯორჯიას“ რიგებში თამაშის პერსპექტივა. მისი ახალგაზრდული გუნდის რიგებში საგარეჯოელი პერსპექტიული ფეხბურთელები იქნებიან აყვანილი, რისი პოტენციალი ნამდვილად გააჩნიათ ჩვენს ნორჩ სპორტსმენებს.

◆ ***საგარეჯოს სტადიონზე უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს სამუშაოები „ვიტ-ჯორჯიას“ და რაიონული გამგეობის წილობრივი მონაწილეობით სრულდება. ალბათ ინტერესს მოკლებული არ იქნება თუ დავაკონკრეტებთ, – კერძოდ, რა სამუშაოებს შეასრულებს გამგეობა და რას „ვიტ-ჯორჯიას“ ხელმძღვანელობა?***

– „ვიტ-ჯორჯიას“ ხელმძღვანელობა დააფინანსებს სათამაშო მოედანს, გასახდელების, საშხაპეების, საცურაო აუზის კეთილმოწყობის სამუშაოებს. რაიონული გამგეობის ძალებით კი მოხდება სტადიონის დამცავი კედლების აღდგენა-გარემონტება, ჩატარდება შელესვა-შეღებვის სამუშაოები, აღვადგენთ და კეთილმოვაწყობთ მაყურებლის ტრიბუნას და ა.შ. აქედან, სადღეისოდ „ვიტ-ჯორჯიამ“ უკვე დაამთავრა საცურაო აუზის კედლების შელესვის სამუშაოები, მას ახლა სამღებრო სამუშაოების ჩატარება სჭირდება, რასაც რაიონული გამგეობა კისრულობს. სარეველებისაგან განთავისუფლდა და დაზიანებული ადგილები ამოიბარა სათამაშო მოედანზე, ჩატარდა წყალგამტარუნარიანობის გასაუმჯობესებელი სადრენაჟო სამუშაოები, ახლა კი მიმდინარეობს მიწისა და სხვა საჭირო კომპონენტების ნაზავის დაზიანებულ ადგილებში შეტანა, რათა შემდეგ მოხდეს ბალახის საფარის შეთესვა. რაც შეეხება რაიონულ გამგეობას – ჩვენი ძალებით მიმდინარეობს კედლების აღდგენა და ლესვის სამუშაოები, უკვე გავასუფთავეთ და უახლოეს დღეებში აღვადგენთ მაყურებელთა ტრიბუნას, სადაც ხელახლა მოეწყობა დასაჯდომი სკამები. შესრულდება მთელი რიგი სამღებრო სამუშაოები, ისე რომ, არაფერს დავიშურებთ, რათა საგარეჯოს სტადიონს თანამედროვე იერ-სახე მიეცეს.

◆ ***სამშენებლო სამუშაოებს რაიონის მშენებლები აწარმოებენ თუ დედაქალაქიდან სპეციალურად მოწვეული სპეციალისტები?***

– სამუშაოებს აწარმოებს საგარეჯოში ყველასათვის კარგად ნაცნობი შ.პ.ს. „ფარნავაზი“ (უფროსი გივი ფანოზიშვილი). როგორც ცნობილია, ამ საზოგადოების ძალებით რაიონში რამდენიმე მნიშვნელოვანი ობიექტი უკვე ჩადგა მწყობრში და იმედია ამ საქმესაც წარმატებით გაართმევენ თავს.

◆ ***როგორც ამბობენ, სტადიონს ზემო მხრიდან, ე.ი. საჭიდაო დარბაზის გასწვრივაც გაუკეთდება დამცავი კედელი. ეს ხომ არ მოასწავებს იმას, რომ აქ სავარჯიშოდ თუ თამაშების ჩასატარებლად აღარ შეუშვებენ ქალაქის სკოლების მოსწავლეებს, რომლებიც აქამდე შეუზღუდავად სარგებლობდნენ ამ სტადიონის სიკეთით?***

– სტადიონის საფარზე ვარჯიშის და თამაშის უფლება სკოლების მოსწავლეებს კი არა, თვით „ვიტ-ჯორჯიას“ ფეხბურთელებსაც არ ექნებათ. აქ მხოლოდ ოფიციალური მატჩები ჩატარდება, დანარჩენ შემთხვევაში კი ისინი ითამაშებენ სათადარიგო მოედანზე, რომელიც ახლა მზადდება.

◆ ***მაინც როდისთვისაა დაგეგმილი ყველა ამ სამუშაოს დასრულება?***

– ალბათ, სექტემბრის დასაწყისისათვის აქ ყველაფერი სრულ წესრიგში გვექნება.

◆ ***ამ სამუშაოების შემდეგ ჩვენს სტადიონს საპრივატიზაციო ნუსხაში მოხვედრა ხომ არ ემუქრება?***

– დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს საფრთხე საგარეჯოს სტადიონს არ ემუქრება. ჩემი პირადი აზრი ის გახლავთ, რომ ასეთი ობიექტების ამ ნუსხაში შეტანა არასწორია. რაც შეეხება სტადიონის იჯარის წესით გაცემას, ეს მომავლის საქმეა.

◆ ***თქვენ ზემოთ უკვე შეეხეთ „ვიტ-ჯორჯიას“ რიგებში საგარეჯოელი ფეხბურთელების თამაშის საკითხს. მაინც, რამდენად რეალურად გეჩვენებათ ეს საქმე?***

– ეს საკითხი უკვე შეთანხმებული და გადაწყვეტილია „ვიტ-ჯორჯიას“ ხელმძღვანელობასთან. ახლა, რომ იტყვიან, სიტყვა ჩვენს ნორჩ ფეხბურთელებსა და მათ მწვრთნელებზეა – მათ უნდა მოიპოვონ ამ გუნდში თამაშის უფლება და თუკი ამას შეძლებენ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, „გარედან“ სხვა ფეხბურთელების მოზიდვა აღარ დაგვჭირდება, რადგან აქ, ადგილზე გვეყოლებიან სათანადო დონისა და მომზადების სპორტსმენები.

◆ ***ამ ქვეყანაზე მოულოდნელი არაფერია და თუ „ვიტ-ჯორჯიას“ ახალგაზრდული გუნდი მოიპოვებს უმაღლესი რანგის მატჩებში მონაწილეობის უფლებას, ასეთ შემთხვევაში შეძლებს თუ არა საგარეჯოს სტადიონი მასპინძლობა გაუწიოს მაღალი რანგის ასპარეზობებს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ის ვერ ჯდება მსოფლიო სტანდარტების ფარგლებში და აქ მხოლოდ რესპუბლიკური მნიშვნელობის თამაშების ჩატარებაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში ხომ არ დგება საგარეჯოს სადგურთან ახალი სტადიონის მშენებლობა, რომლის დაწყება დიდი ხანია გადაწყვეტილია, მაგრამ ფინანსების სიმცირის გამო ვერ მოხერხდა. თქვენთვის თუ არის ამასთან დაკავშირებით რამე ცნობილი?***

– საგარეჯოს სტადიონი ნამდვილად ვერ პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს, დარღვეულია ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა – სტადიონი უნდა იყურებოდეს ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, ისე, რომ მზე პირდაპირ არ უნდა უყურებდეს მოთამაშეებს. ჩვენთან კი პირიქითაა, ისე რომ, აქ ნამდვილად არ უნდა ველოდოთ მაღალი რანგის თამაშებს. რაც შეეხება რკინიგზის სადგურთან ახალი სტადიონის აშენებას, მას აურაცხელი თანხები სჭირდება. რაც დღესდღეობით ნამდვილად არავის გააჩნია. ვნახოთ რა იქნება მომავალში.

◆ ***სტადიონის კეთილმოწყობასთან ერთად რამე სიახლე ხომ არ მოელის იქვე მდგარ საგარეჯოს საჭიდაო დარბაზს?***

– საგარეჯოს საჭიდო დარბაზი სპორტსაზოგადოება „შევარდენს“ ეკუთვნის და მასზე დაბეჯითებით რაიმეს თქმა, ცოტა არ იყოს, მე ჯერ მიჭირს. ჩვენ რამდენჯერმე დავაყენეთ ამ სპორტდარბაზის რაიონისათვის გადმოცემის საკითხი, მაგრამ, ეტყობა, სამთავრობო დონეზე ჩარევის გარეშე ეს არ მოხერხდება. თუ ჩვენ შევძელით და სპორტდარბაზი დავიბრუნეთ, რა თქმა უნდა, არც მას დავტოვებთ ყურადღების გარეშე, გავარემონტებთ და მის წინ მოვაწყობთ სკვერს, რაშიც დიდ დახმარებას შეგვპირდა ჩვენი სახელოვანი ფალავნის, არსენ მეკოკიშვილის ვაჟი გიორგი მეკოკიშვილი. იგი სიტყვის კაცია და ვფიქრობთ არც ამ შემთხვევაში წაიღებს უკან თავის სიტყვას.

*ესაუბრა*
*გივი დაბახიშვილი*

# ამხანაგური მატჩები

იაპონია — არგენტინა 1-2
ფარერები — მალტა 3-2
რუსეთი — ლიტვა 4-3
ლატვია — უელსი 0-2
მოლდოვა — საქართველო 1-0
პოლონეთი — დანია 1-5
თურქეთი — ბელარუსი 1-2
ნორვეგია — ბელგია 2-2
შვედეთი — ჰოლანდია 2-2
სლოვენია — სერბეთი 1-1
ხორვატია — ისრაელი 1-0
ჩეხეთი — საბერძნეთი 0-0
შვეიცარია — ჩრ. ირლანდია 0-0
ირლანდია — ბულგარეთი 1-1
ინგლისი — უკრაინა 3-0
ავსტრია — გერმანია 1-3
საფრანგეთი — ბოსნია 1-1
შოტლანდია — უნგრეთი 0-3
კვიპროსი — ალბანეთი 2-1
ისლანდია — იტალია 2-0
ესპანეთი — ვენესუელა 3-2

**ახალგაზრდული ნაკრებები**

ლატვია — უელსი 0-0
რუსეთი — თურქეთი 0-0
ჩეხეთი — საბერძნეთი 0-0
ბელორუსია — შვედეთი 1-1
უნგრეთი — შოტლანდია 4-2

ამხანაგური მატჩებიდან ინტერესს, რამდენიმე შეხვედრა იწვევდა. უპირველესად ის შეხვედრები, რომელშიც შესარჩევ ციკლში ჩვენი მომავალი მეტოქეები თამაშობდნენ. შინ დამარცხდა თურქეთი. ოსმალოებს ბელორუსებმა აჯობეს. ნიუკასლში გაცამტვერდა ბლოხინის გუნდი. ინგლისელებმა უკრაინელებს სამი უპასუხო გოლი გაუტანეს და ხელცარიელი გაისტუმრეს. შესანიშნავად თამაშობს დანიის ნაკრები. სკანდინაველებმა გასვლით მატჩში გაანადგურეს პოლონელები. საყურადღებო შედეგი დაფიქსირდა კიდევ რამდენიმე მატჩში. ევრო 2004-ზე მოთამაშე წყვილები, ისევ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ორივე მატჩი ფრედ დასრულდა. შვედებმა ჰოლანდიელებს უმასპინძლეს და 2-2 ითამაშეს. ჩეხებმა ევროპის ჩემპიონები ბერძნები მიიღეს შინ და ევროზე დამარცხებისთვის რევანში ვერ აიღეს, ფრე — 0-0. ეს რეჰაგელის გუნდის პირველი მატჩი იყო ტრიუმფის შემდეგ. ნაკრებში სამწვრთნელო დებიუტი ჩაუმწარდა მარჩელო ლიპის, მისი დამოძღვრილი იტალიელთა „ცისფერი გუნდი“ ისლანდიაში ჩაფლავდა. შესარჩევ ჯგუფში ჩვენმა კიდევ ერთმა მეტოქემ ალბანეთის ნაკრებმა კვიპროსში წააგო.

**გასწორება:** „ლელოს“ №65-ში გაიპარა უზუსტობა წერილში „ლანჩხუთის „კოლმეურნედან“ იაშინის კლუბის წევრობამდე“. პირველი აბზაცის პირველი სტრიქონი უნდა იკითხებოდეს: „რამდენიმე წლის“...

ფეხბურთის ვარსკვლავები

# ასეთია იგი – ვალენტინ ივანოვი

...მან ბურთი მოედნის ცენტრში მიიღო. მაშინვე გაექცა მოწინააღმდეგის ერთ-ერთ ფეხბურთელს და მარჯვენა ფრთის გასწვრივ გაქანდა. პირით ხაზამდე არმისულმა კიდევ ერთი ფეხბურთელი ჩამოიტოვა უკან და ბურთი უფრო წინ გაიგდო. ის მხოლოდ ერთზე ფიქრობდა: რაც შეიძლება ახლოს მისულიყო კართან და ბურთი საჯარიმო მოედანზე ჩაეწოდებინა, საითაც უკვე მირბოდნენ მისი თანაგუნდელები. მან მიაღწია თითქმის პირით ხაზამდე და მარცხნივ, კარისკენ შემოტრიალდა.

– „უნდა ჩავაწოდო“ – გაიფიქრა, მაგრამ იგრძნო ძალა კიდევ შესწევდა. „ყველაფერი ან არაფერი“ – ესეც ფიქრში განსაზღვრა. ბურთი წინ გააგდო და მცველს მოხდენილად აუარა გვერდი. ახლა ბურთი მასსა და მეკარეს შორის დარჩა. ორთავენი მთელი მონდომებით მირბოდნენ მის დასაუფლებლად. ვინ იქნება პირველი? – თავდამსხმელმა წამით დაასწრო. მეკარეც უკან მოიტოვა, თვითონ კი ბურთიანად საჯარიმო მოედანზე შეიჭრა. კარებამდე ათიოდე მეტრი აშორებდა. იქ კი, მეკარის ნაცვლად მცველები იდგნენ – მათ კარის კუთხეები ჩაეკეტათ. ეშმაკობა იხმარა – შუაში დაარტყა. ბურთი მიწიდან მეტრნახევარის სიმაღლეზე, ბადეში გაეხვია.

მთელი ცხოვრება დაიმახსოვრა ეს საფეხბურთო ეპიზოდი. ერთმა თანაგუნდელმა უთხრა, რომ მან, მოწინააღმდეგის კარისკენ მიმავალმა, გზადაგზა ხუთი ფეხბურთელი მოატყუა.

– „დაე, იყოს ოთხი“ – გაიფიქრა გოლის ავტორმა – „ესეც არ არის ცუდი“.

საფეხბურთო მატჩი, რომლის ერთ-ერთი მომენტიც ზემოთ წარმოგიდგინეთ, 1960 წლის 6 ივლისს შედგა საფრანგეთის ქალაქ მარსელში. ეს იყო შეხვედრა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებ გუნდებს შორის, ევროპის თასზე. გატანილი გოლის ავტორი გახლდათ საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის თავდამსხმელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვალენტინ ივანოვი.

ეს გოლი მას მიაჩნია საუკეთესოდ მის მიერ გატანილ გოლებს შორის. არადა, სსრკ ნაკრებში და მოსკოვის „ტორპედოში“, ყველა სახის მატჩებში (ამხანაგური, ოფიციალური, სსრკ პირველობა, თასის გათამაშება) გატანილი აქვს 166 გოლი. ამ გოლს იგი, როგორც თვითონ ამბობს: „არ გაცვლის ერთად აღებულ დანარჩენ გოლებზე“.

... წლეულს, 19 ნოემბერს ვალენტინ ივანოვს დაბადებიდან 70 წელი უსრულდება. წლეულსვე, 18 ნოემბერს კი, სრულდება ტაშკენტის „ოქროს მატჩის“ 40 წელი. სწორედ ოთხი ათეული წლის წინათ – 1964 წლის 18 ნოემბერს თბილისის „დინამომ“ დამატებით მატჩში დაამარცხა მოსკოვის „ტორპედო“ – 4-1 და პირველად გუნდის არსებობის ისტორიაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები დაისაკუთრა. იმ მატჩში (ისე, როგორც მთელ სეზონში და მანამდეც) მოსკოვის „ტორპედოს“ კაპიტანი ვალენტინ ივანოვი იყო. ხვალ კი, – ხვალ იყო მისი დაბადების დღე, თანაც, საიუბილეო – ვალენტინ ივანოვი 30 წლის გახდა.

. . .

ვალენტინ ივანოვი ძირძველი მოსკოველია. იგი მოსკოვის ერთ-ერთ ძველ უბანში – ავიამოტორნის ქუჩაზე – დაიბადა. დღეს იგი რუსეთის დედაქალაქის ერთ-ერთ მშვენიერ პროსპექტზე ცხოვრობს. გემოვნებით, მაღალი არქიტექტურული გათვლით ნაგები შენობები, სკვერები, პარკები პროსპექტს გარს ეკვრიან და მის ერთიან კომპლექსს წარმოადგენენ. ოდნავ სიღრმეში, მარჯვნივ და მარცხნივ ცაში აწვდილი ხეები შრიალებენ. სწორედ ამ პროსპექტის №44 სახლის V სართულის № 145 ბინის მკვიდრნი არიან ვალენტინ ივანოვი და მისი მშვენიერი მეუღლე, მელბურნის 1956 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ტანვარჯიშში ლიდია გავრილის ასული კალინინა.

ვალენტინ ივანოვი კოზმას ძეა. მამის სახელის პერიფრაზიდან გამომდინარე მას „კუზმას“ ეძახიან. ასე იცნობენ მეგობრები, მეზობლები, მწვრთნელები, თანაგუნდელები, მეტოქეები.

. . .

ვალენტინ ივანოვი მოსკოვის „ტორპედოში“ 1953 წელს ჩაირიცხა და იყო მისი წევრი 1966 წლის ჩათვლით. ამ ხნის მანძილზე მან გუნდში 287 მატჩი ჩაატარა საბჭოთა კავშირის პირველობაზე და გაიტანა 124 გოლი. საბჭოთა კავშირის თასზე მის ანგარიშზეა 14 გოლი. საბჭოთა კავშირის ნაკრებში 59 მატჩი ითამაშა და 26 გოლი გაიტანა. 2 ბურთიც საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის (1956) ანგარიშზეა. „გრ. ფედოტოვის კლუბის“ წევრია 166 გატანილი ბურთით.



ვალენტინ ივანოვი ორგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონია – 1960 წ. და 1965 წ. სამჯერ მოიპოვა ვერცხლის მედლები (1957, 1961, 1964 წ.წ.). 1953 წლის საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელია. საბჭოთა კავშირის თასს დაეუფლა 1960 წელს. საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონია (1956 წ.). „33 საუკეთესოთა“ შორის შეიყვანეს 9-ჯერ (7-ჯერ №1). საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გახდა ევროპის თასის I გათამაშებაში გამარჯვებული. 1964 წელს – მეორე ადგილი. 1956 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია. მონაწილეობდა 1958 წ. (5 მატჩი) და 1962 წ. (4 მატჩი) მსოფლიო ჩემპიონატების ფინალური სტადიის მატჩებში. 1962 წელს ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატზე 4 გოლი გაიტანა, რამდენიც (თითოეულმა) გარინჩამ, ვავამ, ლ. სანჩესმა, ალბერტმა და ერკოვიჩმა.

შვეციის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ სპეციალისტებმა იგი ერთხმად აღიარეს მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს თავდამსხმელად. გავრილ კაჩალინმა მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებშიც დაასახელა. ამ უდიდეს მწვრთნელს მიაჩნდა, რომ საფეხბურთო ტანდემი: ივანოვი-სტრელცოვი განუმეორებელი და შეუდარებელი იყო. ხოლო სტრელცოვი და ივანოვი ყველა დროის საუკეთესო საბჭოთა ფეხბურთელები (სხვებთან ერთად). ეს ჩემთან საუბარშიც განაცხადა 1988 წლის სექტემბერში, მოსკოვში, სასტუმრო „მოსკვაში“ ჩვენი შეხვედრის დროს.

ჩემს ხელთაა გაზეთ „ლელოს“ 1962 წლის 1 ივლისის (№128) ოდნავ შეყვითლებული ფურცლები. ეს ნომერი ჩემი საოჯახო არქივის კუთვნილებაა. მასში, ერთ-ერთი სტატიის სათაურია: „პელე – მილიარდი ლირა!“ სტატიაში განთავსებულია რომის გაზეთ „უნიტას“ ნიუ-იორკელი კორესპონდენტის დინ ფლიმენის მიერ გადმოცემული ცნობები ფეხბურთელთა თასების შესახებ. პირველ ადგილზე ამ სიაში ლეგენდარული პელეა – მილიარდი ლირა. მეორე ადგილზეა ვალენტინ ივანოვი – 550 მილიონი ლირა. – „საქმე მარტო მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა როდია – წერს ავტორი. „შემფასებელზე“ დიდი შთაბეჭდილება დატოვა ივანოვის თამაშმა ევროპის თასზე და მრავალრიცხოვან საერთაშორისო შეხვედრებში“. ამ სიაში მესამეა იტალიელი ო. სივორი (500 მილიონი ლირა), მეოთხეა გარინჩა (450 მილიონი ლირა), შემდეგ მოდიან შტიბრანი (ჩეხოსლოვაკია), ალბერტი და ტიხი (უნგრეთი), ზეელერი და ჰალერი (გფრ), ჩარლტონი და ჰეინსი (ინგლისი) და ა.შ; ვფიქრობ, დამემოწმებით, რომ ეს ივანოვის უდიდესი აღიარება იყო.

ვალენტინ ივანოვის სპორტულ ბიოგრაფიაში უდავოდ მრავლისმეტყველი და ალმაფრთოვანებელია 1960 წლის საფეხბურთო სეზონი. ამ წელს, ვალენტინ ივანოვი, 10 ივლისს სსრკ ნაკრების შემადგენლობაში ევროპის თასის მფლობელი გახდა, სეზონის ბოლოს კი „ტორპედომ“ „დუბლი“ გააკეთა – საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა და საბჭოთა კავშირის თასი მოიპოვა (ამ ჯილდოს მოპოვებაში „ტორპედოს“ მსაჯიც წაეხმარა). ვალენტინ ივანოვმა სამთავე ფრონტზე გამოიჩინა თავი. ევროპის თასის დასკვნით ეტაპზე ჩეხოსლოვაკიის ნაკრების წინააღმდეგ 2 ბურთი გაიტანა (ერთზე ჩვენ ამ ნარკვევის დასაწყისში ვისაუბრეთ). საბჭოთა კავშირის პირველობის 17 მატჩში 8 ბურთი გაიტანა. საბჭოთა კავშირის თასზე (ფინალში) კი ორი ბურთი მოათავსა თბილისის „დინამოს“ კარში, მათგან მეორე (მატჩში მეოთხე) გადამწყვეტი აღმოჩნდა.

**ნუგზარ მჭედლიშვილი,**
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი. ქ. ქუთაისი

(გაგრძელება იქნება)

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №11 (25) აგვისტო, 2004 წელი



# ქართული კარატე კიდევ გაიმარჯვებს

საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ ზაფხულის ცხელი დღეები მთლიანად წვრთნებს, ატესტაციებს და სემინარებს დაუთმო, რომლებიც საქართველოს ყველა რეგიონში ჩაატარა. ეს უზარმაზარი შრომა თავად ფედერაციის პრეზიდენტმა, კახა ბასილიამ იტვირთა, რასაც მაღალი შედეგები მოჰყვა.

უნდა აღინიშნოს, რომ კარატეს ეროვნული ფედერაცია ამ შეკრებების შემდეგ არაერთ მსოფლიო და ევროპი ჩემპიონატებს ესტუმრება და იმედია, შრომა უკვალოდ არ ჩაივლის...

და ბოლოს, კიდევ ერთი დიდი სიურპრიზი და სიხარული ქართული კარატეს გულშემატკივრებს: 2-7 აგვისტოს, ტოკიოში, მსოფლიო კარატეს კონგრესზე, განიხილეს თუ სად ჩატარდება 2006 წელს მსოფლიო ჩემპიონატ.ი კარატეში. უნდა აღინიშნოს, რომ 10 საკმაოდ ძლიერი ქვეყნიდან თურქეთი ან საქართველო უმასპინძლებს. საბოლოო პასუხს, თუ სად ცატარდება ჩემპიონატი, 2005 წლის ბოლოს გავიგებთ, როდესაც მსოფლიოს კარატეს ფედერაციის საორგანიზაციო და ტექნიკური კომიტეტი განიხილავს ფედერაციების დონეებს.

იმედია, რომ ეს ბედნიერება და აღიარება, 2001 წლის დარად, საქართველოს ერგება, როგორც ეს პირველად მოხდა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, კავკასიაში, პირველად საქართველოში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი.







# ნოდარ ხაჯიშვილი — ქართული კარატე აჭარაში

## კარატე ნარკომანიის წინააღმდეგ

უხსოვარი დროიდან საქართველოში ფართო ასპარეზი ჰქონდა სპორტულსანახაობრივ სახეობებს. იგი გონებამახვილობას და ინდივიდის განუზომელი ძალის დემონსტრირებას ეფუძნებოდა. და ეს ყოველივე, საუკეთესოობით ზის ჩვენს გენეზისში, როგორც ჯანსაღი, დადებითი კომპლექსი.

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციას აჭარაში ნოდარ ხაჯიშვილი წარმოადგენს, რომელიც საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, აჭარის შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტი, აჭარის აღმოსავლური ორთაბრძოლების საკორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე და ამავე დროს პოლიციის პოლკოვნიკია. და ფლობს მეოთხე დანს.

დაიბადა 1960 წლის 22 ივლისს, ქობულეთში. დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

ნოდარ ხაჯიშვილმა კარატეში ვარჯიში დაიწყო 1976 წელს. 1982 წელს საკავშირო სპორტკომიტეტის მიწვევით მინსკში გაიარა სემინარები კარატე-დოში, სადაც მიენიჭა ინსტრუქტორ-მეთოდისტის წოდება. ამავე წლებში მისი თაოსნობით აჭარაში გაიხსნა კარატეს ჯგუფები, აქედან, პირველი, ოფიციალური სექცია ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში და სპორტსაზოგადოება „სპარტაკში" გაიხსნა, რომელსაც სათავეში თავად ჩაუდგა. ოთხმოციან წლებში, კარატეს აკრძალვის პერიოდში, ხაჯიშვილი აქტიურად ებმება საზოგადოებრივ ცხოვრებაში და თავის ცოდნასა და გამოცდილებას ხალხის კეთილდღეობას ახმარს.

1991 წლიდან მუშაობს აჭარის შსს-ს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის განყოფილების უფროსად, ხოლო 1992 წლიდან ტერორიზმისა და ბანდიტიზმის განყოფილებას ხელმძღვანელობს, 1993 წლიდან კი აჭარის შსს მინისტრის მოადგილედ მუშაობდა.

ალნიშნულ წლებში პროპაგანდა-პოპულარიზაციის მიზნით ეწეოდა აქტიურ მუშაობას სამინისტროს თანამშრომელთა შორის, სადაც კარატე-დოში შექმნა რამდენიმე ჯგუფი.

აღსანიშნავია, რომ კარატე, ნოდარ ხაჯიშვილს, სპორტის სხვა სახეობებთან ერთად პირადი ძალისხმევითა და პრაქტიკული ჩარევით უფრო მაღალ საფეხურზე აყავს. მიუხედავად იმ შრომატევადი საქმიანობისა, რომელსაც ნოდარ ხაჯიშვილი ეწევა, იგი დღესაც არ ჩამოშორებია დიდ სპორტს და რე-


ნოდარ ხაჯიშვილს აჯილდოებს კახა ბასილია

№11 (25) აგვისტო. 2004 წელი






მარცხნიდან მეორე: ნოდარ ხაჯიშვილი, გუნდის ლიდერი, 2001 წელი თბილისი, ევროპის ჩემპიონატი

*სპუბლიკური და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორია. 1997 წელს, ტოკიოში, მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა, ხაჯიშვილის შემადგენლობით, საპატიო ადგილი დაიკავა. ბუნებით ვაჟკაცი, გულისხმიერი და უღალატო კაცი პირველი კარატისტია აჭარაში, რომელმაც დიდი აღიარება ჰპოვა საერთაშორისო სარბიელზე.*

*იმ მოკლე ხანში, რაც აჭარის შოტოკან კარატე-დოს ფედერაცია არსებობს, ჩატარდა ორი რესპუბლიკური ტურნირი, სემინარები, სადაც საერთო ჯამში 1000-მდე კარატისტმა მიიღო მონაწილეობა. წელს, საქართველოს კარატე-დოს ეროვნულ ფედერაციას ბათუმში დაგეგმილი აქვს საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ აჭარის ფედერაციის დონე საერთაშორისო სტანდარტებს შეეფერება.*

***— ბატონო ნოდარ, რა არის კარატე საქართველოსთვის?***

— მისასალმებელია, რომ თქვენი რედაქცია ინტენსიურად აშუქებს საბრძოლო ხელოვნების განვითარებას, რაც, დაგეთანხმებით, კმაყოფილების ნიშნად, რომ აუცილებელიცაა, ჩვენს არასახარბიელო ყოფაში, ადამიანმა ნახოს, თუ რას ჰქვია უპირველესად სრულყოფის გზა, საკუთარი თავის დაუფლებისა და ჭეშმარიტების გზა ჰქვია. ამასთანავე, საზოგადოებისთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ კარატე არის სახელმწიფოსთვის სტრატეგიული დანიშნულების ერთ-ერთი მობილური სპორტი — იარაღი. აქ ვგულისხმობთ, რომ საბრძოლო ხელოვნებათა ფლობა, სახელმწიფოს მისცემს საშუალებას, ჰყავდეს კარგად მომზადებული პოლიცია, შინაგანი და თავდაცვითი შენაერთი, და საერთოდ, ყველა ის რგოლი, სადაც საუკეთესო ფიზიკური და ღრმა ფსიქოლოგიური მომზადება ამბობს უპირველესად მთავარ სიტყვას. კარატე, და საერთოდ, აღმოსავლური ორთაბრძოლები, არ არის მარტო სპორტი. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ეს არის უძველესი ტრადიციების სინთეზით შობილი ულამაზესი ხელოვნების დარგი. დიახ, ხელოვნების დარგი, რომელიც არა მარტო აჯანსაღებს და აკაჟებს ადამიანს, არამედ აკეთილშობილებს დაალამაზებს მის სულიერ სამყაროს.

ჩვენს ქვეყანაში, ევროპიდან, აზიიდან, ამერიკიდან მრავალი სპორტი შემოვიდა, რომელიც უდიდესი სასოებით აიტაცა ქართველმა კაცმა და მის სულიერ საუნჯეს შეუთავსა.

***— ბატონო ნოდარ, თქვენი მონათხრობი იმდენად საინტერესო და ამომწურავი მაგალითებით არის მდიდარი, რომ არ შეიძლება არ დაგვებადოს კიდევ მრავალი კითხვა?***

— უპირველესად მივესალმებით, რომ სპორტს ასპარეზი მიეცა. შედეგმაც არ დააყოვნა და უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. თუმცა, გვრეჩება ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი, რომელთაც ჯერ კიდევ არ აქვთ ნაპოვნი თავისი თავი და ოქროს დროს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, უმიზნოდ ფლანგავენ. ადამიანის ასეთ ყოფაში დიდხანს დარჩენა არა თუ ავნებს მის ხორცსა და სულს, არამედ ძალიან მარტივად ჰპოვებს გავრცელებას მის ირგვლივმყოფებზე. პრობლემებთან ბრძოლისთვის კი დიდი ხანია მაქვს სურვილი, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, გარკვეული საათობით შემოღებულ იქნეს აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნების შესწავლა. ეს უკვე რამოდენიმე სკოლაში აპრობირებული და საუკეთესო შედეგსაც მივაღწიეთ. წლების განმავლობაში ჩვენი დაკვირვებისა და გამოცდილების პრაქტიკაზე დაყრდნობით, ვაცხადებთ, რომ ეს გზა აუცილებლად მოგვცემს იმ დადებით შედეგს, რომ მოზარდი ძოვნყვიტოთ ქუჩას, გადავარჩიოთ დროის უმიზნო ფლანგვას, ავაცილოთ დანაშაულის ჩადენას და, რაც უმთავრესია, გვეყოლება პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდილი მომავალი თაობა.

***— კონკრეტულად, ამ საშვილიშვილო საქმის სრულყოფისათვის რა კეთდება, ან რა გაქვთ დაგეგმილი მომავალში?***

— ჩვენი ყოველი დღე მიმართულია იქეთკენ, რომ ჩვენ ხელთ არსებული ხელსაწყოთი აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნების საშუალებით, ვიბრძოლოთ... დიახ, ვიბრძვით, ყველაზე საშინელი და ალბათ, უკიდურესად უარყოფითი სენის ნარკომანიის წინააღმდეგ. მისასალმებელია, რომ თქვენი რედაქცია, თქვენთვის დამახასიათებელი და თქვენს ხელთ არსებული საშუალებით ებრძვის ამ სენს. წერილში „კაიფი, მილიონი ღირს?!" საკმაოდ გაბედულად და სწორად არის დასმული საკითხი ნარკომანიის საშინელი სენის წინააღმდეგ სასწრაფო ბრძოლის შესახებ. რაც შეეხება ჩვენი ბრძოლის მეთოდს და ამ საკითხისადმი დამოკიდებულებას: ჩვენთან ვინც აღმოსავლურ საბრძოლო ხელოვნებას ეუფლება, არათუ ნარკომანიის სენით იმფიცირებული, არამედ ახლოს მდგომიც კი არ შეიძლება იყოს. მოკლედ რომ ვთქვათ, ფიზიკურად ნარკომანი ვერ გაძლებს ჩვენთან. ერთი, ორი საათის მუშაობის შემდეგ, რომც მოინდომოს, მაინც გამოჩნდება. ჩვენ არაერთგზის მიგვიძღვნია მრავალი ტურნირი ნარკომანიის წინააღმდეგ.

**P.S.** კიდევ ერთხელ უნდა ავღნიშნოთ, რომ ნოდან ხაჯიშვილი ქართულ კარატეში ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანია, რომელსაც საკმაოდ დიდი სიტყვა ეთქმის გაწეული საქმიანობისთვის და იმედია, აჭას ძისი თახაძებრძოლები, მომავალი თაობა და ქვეყანა დაუფასებს.

## უშიშროების სამსახური „დელტა"

პრეზიდენტი კახა ბასილია

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მრჩეველი, პოლკოვნიკი;

საქართველოს კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტი;

მსოფლიოს სამხედრო ორთაბრძოლების აკადემიის აკადემიკოსი;

წლების განმავლობაში მუშაობდა სახელმწიფოს პირველი პირების, ბიზნესმენების, პოლიტიკოსების პირად დაცვაში საქართველოსა და უცხოეთში;

მონაწილეობდა ცხელ წერტილებში სპეციალური ოპერაციების განხორციელებაში;

დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით და მედლით მხედრული მამაცობისთვის;

მიღებული აქვს ეკონომისტის და იურისტის განათლება.

*პროფესიონალთა მომზადების სპეციალური სკოლა*

სკოლა „დელტა" ახორციელებს კერძო მცველის მომზადებას და გასცემს საერთაშორისო დიპლომს;

სწავლება ხორციელდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, რომელთაც გააჩნიათ ძალოვან სტრუქტურებში მუშაობის დიდი გამოცდილება.

*შეისწავლება შემდეგი საგნები:*

— სამართალი;
— სპეციალური მომზადება;
— ტექნიკური მომზადება;
— საცეცხლე მომზადება;
ფიზიკური მომზადება;
— ხელჩართული ბრძოლა;
— ფსიქოლოგიური მომზადება;
— სამედიცინო მომზადება;
— უცხო ენა;
— ჩვენთან სეგიძლია გაიაროთ 4 და 6 კვირიანი სპეც-კურსები.
— სწავლა მიმდინარეობს როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად.
— სწავლა ფასიანია
— სწავლის საფასური შედგება კურსის მომზადების დონიდან გამომდინარე, 200 ლარიდან ზევით.

*უშიშროების სამსახური „დელტა" გთავაზობთ შემდეგი სახის დაცვას:* კომპანიების ხელმძღვანელების პირადი დაცვა, ბანკების ორგანიზაციების, საწარმოების ბიზნესმენების და მათი ოჯახის წევრების დაცვა.

ოფისების ობიექტების, ბანკების საწარმო შენობების, მშენებარე ობიექტების, გასართობი კომპლექსების, ქალაქგარე სახლებისა და ობიექტების დაცვა. უშიშროების კომპლექსური მეთოდების დამუშავებით (ბანკების, სახლების, წარმოებების და ა.შ.)

გამოიყენება სამსახურეობრივი ძაღლები

მასიური ღონისძიებების, კონცერტების, პრეზენტაციების დაცვა;

ტვირთების გაცილება;

ბანკებისა და სავალუტო პუნქტების დაცვა;

ფიზიკური პირების დაცვა;

დაცვა საგანგებო მდგომარეობის დროს;

ოჯახის წევრების ევაკუაცია;

კონფლიქტების განმუხტვა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით;

კჯომპანიის ხელმძღვანელობის და მისი ოჯახის დაცვა;

კომპანიის ხელმძღვანელების სამგზავრო მარშრუტების დამუშავება უსაფრთხოების მიზნით;

ოპერატიული რეაგირება კლიენტის თხოვნისას და კვალიფიციური დახმარების აღმოჩენა, როდესაც კლიენტს პრობლემები აქვს არაფორმალურ დაჯგუფებებთან, ამასთანავე სწრაფი რეაგირების ჯგუფის გასვლა შემთხვევის ადგილზე დღე-ღამის განმავლობაში.

*ჩვენი მისამართია: ქალაქი თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6 ტელ/ფაქსი: 96-31-89*

## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის უახლოესი ღონისძიებების შესახებ

27-28 აგვისტო, ჩელიაბინსკი (რუსეთი), შავი ზღვის ქვეყნების თასი, 10-15 წლებში.

26-29 სექტემბერი, რესპუბლიკური ტურნირი (თბილისი).

2-3 ოქტომბერი, შავი ზღვის ქვეყნების თასი, 21 წლამდე.

17-18 ოქტომბერი, კიპროსი, მსოფლიო ჩემპიონატი.

30-31 ოქტომბერი, გერმანია, ევროპის ჩემპიონატი.



საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია, ყველაზე პატარა კარატისტს, ლუკა ვადაჭკორიას, დაბადების დღეს ულოცავს და დიდ წარმატებებს უსურვებს!

**ნუგზარ ჭიაბერაშვილი — საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი**

## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს. ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერთიფიკატების გაცემით. ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით.

ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

მათ, ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:

თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6. ტელ/ფაქსი: 96-31-89. WWW.karate.ge

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი

空手道

მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ფედერაციის პრესცენტრის მიერ

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## „მილანი“ ახალი გამარჯვებებისთვის მზადაა

იტალიის სერია „ა“-ს სეზონი 12 სექტემბერს იწყება, ხვალ კი, გაიმართება მატჩი სუპერთასზე „მილანსა“ და „ლაციოს“ შორის. ქვეყნის ჩემპიონი „მილანი“ საკმაოდ სერიოზულად, გაძლიერებული შემადგენლობით ხვდება ახალ სეზონს.

„ძალიან კმაყოფილი ვართ გუნდის მომზადებით. ფეხბურთელები დიდ პასუხისმგებლობას გრძნობენ და თავს არ ზოგავენ. შეიძლება იმის თქმა, რომ „მილანს“ ამჟამად არავითარი პრობლემა არ გააჩნია“, — ამბობს მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი.



„მილანი“ ახალ სეზონში, ახალი ტიტულებისთვის იბრძოლებს, — ასეთია გუნდის ხელმძღვანელობის სურვილი. სწორედ საამისოდ გააძლიერეს დაცვის ხაზი — „ლაციოსგან“ შეიძინეს მცველი იაპ სტამი. ნახევარდაცვის ხაზს შეემატა დორასო, თავდასხმის ხაზს კი — კრესპო. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ „მილანს“ დღეს იტალიაში უძლიერესი შემადგენლობა ჰყავს.

ანჩელოტი ძირითად კონკურენტებად, როგორც ყოველთვის, „ინტერს“, „იუვენტუსსა“ და „რომას“ მიიჩნევს.

„ინტერი“ დღეს მანჩინის ხელმძღვანელობით ტაქტიკურად და სტრატეგიულად გააზრებულ ფეხბურთს თამაშობს. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ამ გუნდმა „ბაზელთან“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩში. „ინტერს“ ჰყავს საკმაოდ ძლიერი და სახიფათო ფორვარდი ადრიანოს სახით. „იუვენტუსს“ რაც შეეხება, ეს გუნდი ყოველთვის ძლიერი იყო და მუდმივად იბრძვის „სკუდეტო“-სათვის. ჯერჯერობით, ვერ ვიტყვით, რას შემოგვთავაზებს ახალ სეზონში „რომა“, რომელშიც კვლავ მაღალ დონეზე თამაშობენ ტოტი, კასანო, მანსინი. გარდა ამისა, საინტერესო ახალგაზრდა მოთამაშეებიც ჰყავთ,“ — ამბობს ანჩელოტი. მისი თქმით „მილანს“ სერიოზული გეგმები გააჩნია ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაშიც. ანჩელოტის ყველაზე მეტად „რეალისა“ და



„მანჩესტერ იუნაიტედის“ ეშინია: „მადრიდელებს ჩემპიონთა ლიგის შარშანდელ გათამაშებაში მწარე სილა „გააწნეს“ და ცხადია, წელს „სამეფო კლუბი“ ჩემპიონთა ლიგის თასის მოპოვების გზით შეეცდება დაკარგული პრესტიჟის აღდგენას“.

დასასრულ, „მილანის“ ქართველი მცველის კახი კალაძის შესახებ. მან უკვე მოირჩინა ტრავმა და კარგ სპორტულ ფორმაში ხვდება ახალ სეზონს. „მზად ვარ, ყოველ მატჩში თავდაუზოგავად ვითამაშო“ — ამბობს კახი კალაძე.

დავუბრუნდეთ ხვალინდელ მატჩს. კარლო ანჩელოტი დარწმუნებულია, რომ „მილანი“ შეძლებს “ლაციოს“ დამარცხებას და სუპერთასს შემატებს ჯილდოთა უმდიდრეს კოლექციას.

## კამაჩო: „ოუენი მსოფლიო დონის ფორვარდია“

მადრიდის „რეალის“ მთავარი მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამაჩო კმაყოფილია მაიკლ ოუენის შეძენით.

„ოუენი მსოფლიო დონის ფორვარდია და ის ნებისმიერი გუნდისთვის საჭირო მოთამაშეა. მართალია, მადრიდის „რეალს“ ჰყავს საკმარისად მაღალი კლასის თავდამსხმელები, მაგრამ აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ სეზონი 9 თვის განმავლობაში გრძელდება, ფეხბურთელები ილლებიან, ტრავმებს იღებენ... მოთამაშეთა როტაციაა საჭირო იმისათვის, რომ გუნდი სტაბილურად აღწევდეს გამარჯვებებს. მაგალითისათვის გეტყვით, რომ რონალდო უდიდეს ენერგიას ხარჯავს გუნდისთვის, მაგრამ, როცა ის იღლება და დროებით „იფიტება“, ღირსეული შემცვლელი ესაჭიროება. იგივე შეიძლება ითქვას ფერნანდო მორიენტესზეც. ოუენი გუნდისთვის ზედმეტი კი არა, მეტად საჭირო ფეხბურთელია. თავდამსხმელების მონაწილეობით ვითამაშებ“, — ამბობს კამაჩო. აქვე გეტყვით, რომ „სამეფო კლუბის“ მთავარ მწვრთნელს სურვილი აქვს, გუნდში იხილოს „ინტერის“ კუთვნილი ფაბიო კანავარო. ამ ფეხბურთელთან დაკავშირებით „რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტინო უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს „ინტერის“ ხელმძღვანელობასთან.

## ნუნიესი «ლივერპულს» გააძლიერებს



**მაიკლ ოუენის წასვლის შემდეგ „ლივერპულმა“ კონტრაქტი გააფორმა მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველთან ანტონიო ნუნიესთან. ეს ტრანსფერი მაიკლ ოუენის „სამეფო კლუბში“ გადასვლის ხმაურიანი პროცესის შემადგენელი ნაწილი იყო.**

**25 წლის ნუნიესმა უკვე გაიარა „ლივერპულის“ სამედიცინო ცენტრში გამოკვლევა და მაშინვე შეუდგა გუნდთან ერთად ვარჯიშს. მასთან ინგლისური კლუბის ხელმძღვანელობამ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. არ არის გამორიცხული, რომ ნუნიესმა პრემიერლიგის უახლოესი ტურის მატჩი ითამაშოს „მანჩესტერ სიტის“ წინააღმდეგ.**

**ნუნუიესმა შარშანდელ სეზონში 10 მატჩი ჩაატარა „რეალის“ შემადგენლობაში და ერთი გოლი გაიტანა.**

## „ნიუკასლიდან“ დაიერს უშვებენ

ინგლისურ საფეხბურთო კლუბ „ნიუკასლში“ კონფლიქტი „აგორდა“ ნახევარმცველ კირონ დაიერსა და მწვრთნელს ბობი რობსონს შორის. პრემიერლიგის პირველ მატჩში „მიდლსბროსთან“ რობსონმა დაიერი ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე გაამწესა, რის გამოც ამ უკანასკნელმა პროტესტი განაცხადა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მწვრთნელმა დაიერი, საერთოდ, არ შეიყვანა განაცხადში „მიდლსბროსთან“ მატჩისათვის.

კირონ დაიერი ამტკიცებს, რომ მისი ადგილი ნახევარდაცვის ცენტრშია. ამაში ბობი რობსონი არ ეთანხება, უფრო მეტიც, მწვრთნელის განცხადებით... დაიერის ადგილი, საერთოდ, აღარ არის გუნდში.

„ნიუკასლის“ ხელმძღვანელობამ ეს ფეხბურთელი უკვე დააყენა ტრანსფერზე — იგი 8 მილიონ გირვანქა სტერლინგითაა შეფასებული.

ადრე დაიერის შეძენით „მანჩესტერ იუნაიტედი“ იყო დაინტერესებული. ძნელია იმის თქმა, კიდევ მიმართავენ თუ არა მანჩესტერელები ნიუკასლელებს. არ არის გამორიცხული, დაიერი „არსენალმა“ იყიდოს.

## „სელტიკი“ ვალებშია ჩავარდნილი

**შოტლანდიური ფეხბურთის ლიდერი, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი „სელტიკი“ ფინანსურ კრიზისს განიცდის. გუნდს აქვს დავალიანება 15 მილიონი ფუნტის ოდენობით.**

**მარტო გასულ წელს „სელტიკმა“ 7,5 მილიონი ფუნტი იზარალა, და მაინც, ეს ერთგვარი პროგრესიცაა, რადგან 2002 წელს „სელტიკის“ ბიუჯეტის დეფიციტმა 11,7 მილიონი ფუნტი შეადგინა. დავალიანების მიუხედავად, „სელტიკის“ ხელმძღვანელობა თვლის, რომ ფინანსური მდგომარეობა ამ სეზონში გამოსწორდება.**

## ოტო ბარიჩი „აუსტრიას“ დაეხმარება

ხორვატიის ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი ოტო ბარიჩი კონსულტანტად მიიწვიეს ვენის „აუსტრიაში“.

ამ გუნდმა 2002-2003 წლების სეზონში ავსტრიის ჩემპიონატი და ქვეყნის თასი მოიგო, გასულ სეზონში კი გააწბილა გულშემატკივრები. „აუსტრიამ“ ახალი სეზონიც არასახარბიელოდ დაიწყო: ავსტრიის ჩემპიონატის პირველ ხუთ ტურში გუნდმა მხოლოდ 6 ქულა დააგროვა და უეფას თასის გათამაშების მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში უკრაინულ „ილიჩევეცის“ დამარცხება ვერ მოახერხა (0-0).

„აუსტრიას“ პრეზიდენტმა ფრანკ სტრონახმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ ოტო ბარიჩი დიდად დაეხმარება გუნდის მთავარ მწვრთნელს ლარს სანდეგაარდს წარმატებების მიღწევაში.

„ოტო ბარიჩი დიდი გამოცდილების მქონე, კარგი სპეციალისტია. ის ანალიზს გაუკეთებს „აუსტრიაში“ შექმნილ სიტუაციას და იპოვის გზას კრიზისიდან თავის დასაღწევად“, — ამბობს სტრონახი. სხვათა შორის, ბარიჩს ავსტრიაში კარგად იცნობენ. მას სხვადასხვა დროს უმუშავია „შტურმთან“, „ზალცბურგთან“ და „რაპიდთან“. ის კი არა, ავსტრიის ნაკრებსაც ედგა სათავეში. შეგახსენებთ, რომ 72 წლის ოტო ბარიჩმა წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე დატოვა ხორვატიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი.

## ლოპესი „ლაციოში“ ითამაშებს



ესპანეთის “ ბარსელონამ“ მცველი ოსკარ ლოპესი იტალიის „ლაციოში“ გაანათხოვრა ერთი წლით.

24 წლის ლოპესი მსხვერპლი შეიქნა იმ კონკურენციისა, რომელიც ბოლო დროს „ბარსელონას“ დაცვის ხაზზე მიმდინარეობდა ძირითად შემადგენლობაში ადგილის დასამკვიდრებლად. საქმე ის არის, რომ „ბარსელონამ“ ამ ზაფხულს შეიძინა გამოცდილი ბრაზილიელი მცველები — სილვინიო, ჟულიანო ბელეტი და ედმილსონი . აქედან გამომდინარე ლოპესისათვის ადგილი აღარ დარჩა და „ლაციოში“ გაუშვეს.

## იერემისი ერთი თვით დაისვენებს

**მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველმა იენს იერემისმა ოპერაცია გაიკეთა მუხლზე, რის შედეგადაც ის ოთხი კვირის განმავლობაში დაისვენებს ფეხბურთისაგან. 30 წლის იერემისმა ექიმებს ივლისის მიწურულს მიმართა. სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, რომ ფეხბურთელისათვის აუცილებელი იყო ქირურგიული ჩარევა... არ არის გამორიცხული, იერემისმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველი მატჩები გამოტოვოს.**

ჩვენი მეტოქე

## ოლეგ ბლოხინი ყაზახეთის ნაკრებს უფრთხის

**მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისათვის ემზადება უკრაინის ფეხბურთელთა ნაკრები. ვფიქრობთ, ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს გუნდის მთავარი მწვრთნელის ოლეგ ბლოხინის მიერ „სპორტ-ექსპრესისათვის“ მიცემული ინტერვიუ, რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ.**

◆ ***როგორ შეაფასებთ უკრაინის ნაკრების თამაშს თქვენი ხელმძღვანელობით აქამდე ჩატარებულ ამხანაგურ მატჩებში?***

— ამხანაგური მატჩების ჩატარების მთავარი მიზანია გუნდის ოპტიმალური შემადგენლობის შერჩევა ოფიციალური ტურნირის შეხვედრებისათვის. თუკი მწვრთნელის მუშაობას მხოლოდ ამხანაგურ მატჩებში მიღწეული შედეგებით შეაფასებთ, მაშინ ის დიდი ხნის მოხსნილი უნდა იყოს დაკისრებული მოვალეობისაგან.



მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველ მატჩში დანიის ნაკრებს ვხვდებით და უნდა ითქვას, რომ უკვე გამოიკვეთა უკრაინის ნაკრების ძირითადი შემადგენლობა ამ შეხვედრისათვის.

გარკვეული პრობლემები გვაქვს დაცვის ხაზზე. საერთოდ, არ გვყავს მაღალკვალიფიციური მარჯვენა მცველი. ამ პოზიციაზე უკრაინის ყველა გუნდში ლეგიონერები თამაშობენ.

◆ ***თქვენს გუნდში მიღებულია თუ არა ვალერი ლობანოვსკის ფორმულა: „პროფესიონალი მოთამაშე ჯერ ფულისთვის თამაშობს, შემდეგ საკუთარი ამბიციებისათვის, გუნდისათვის და მწვრთნელისათვის“..***

— მე ლობანოვსკი არ ვარ. თქვენ ოლეგ ბლოხინი გესაუბრებათ. ჩემი აზრით, თითოეულმა ფეხბურთელმა, პირველ რიგში სამშობლოს ღირსებისათვის უნდა იბრძოლოს, შემდეგ საკუთარი თავისათვის, მწვრთნელისათვის და ბოლოს, — ფულისათვის, — ეს ჩემეული ფორმულაა. ცხოვრება იცვლება. ნუ შემადარებთ ლობანოვსკის, ტრაპატონის, ანდა, საკის, მე ჩემეული ტაქტიკა მაქვს.

◆ ***უკრაინის ამჟამინდელმა ნაკრებმა გაითავისა თქვენეული ფორმულა?***

— ბოლომდე ჯერ არა.

◆ ***რა აკლია გუნდს?***

— ჩემეული ფორმულირებიდან მოთამაშეებმა გარკვეული ნაწილი გაითავისეს. ავიღოთ ამხანაგური მატჩი საფრანგეთის ნაკრებთან, რომლის დროსაც 70-75 წუთი ჩემმა შეგირდებმა კარგად ჩაატარეს, თუმცა, მატჩის ბოლომდე — ვერა.

◆ ***ადრე არაერთხელ განაცხადეთ, რომ უკრაინის ნაკრებს მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანთ. ახლაც ამ აზრზე ბრძანდებით?***

— რა თქმა უნდა. თუ გუნდს მაღალი მიზნები არ დაუსახე, მაშინ რაღა აზრი აქვს თამაშს ოფიციალურ ტურნირში. ჩვენი გეგმა უსაფუძვლო არ არის. მჯერა, რომ ჩემი შეგირდები თავდაუზოგავად იბრძოლებენ და შესარჩევი ჯგუფიდან გავალთ ფინალურ ეტაპზე.

◆ ***ყველა მეტოქეზე ფლობთ სრულფასოვან ინფორმაციებს?***

— მთავარი პრობლემა ყაზახეთის ნაკრებია, რომელიც ევროპულ ციკლში პირველად ჩაერთო. ოთხშაბათს, ჩვენი შესარჩევი ჯგუფის სხვა გუნდებმაც გამართეს ამხანაგური მატჩები.

პოლონეთი — დანიის მატჩს ჩემი თანაშემწე ვერემეევი დაესწრო, მოლდოველებისა და ქართველების შეხვედრას — ალტმანი, ხოლო ყაზახეთისა და რუსეთის კლუბების ნაკრებთა შორის თამაშზე ალექსანდრე ზავაროვი იმყოფებოდა. ცხადია, ყველა მათგანმა საკმაო ინფორმაციები მომაწოდა. და მაინც, მთავარი პრობლემა ყაზახეთის ნაკრებია. აქ დიდ როლს ასრულებს დრო, კიევისა და ალმა-ათას შორის სხვაობა 4 საათია. დანიელების შემდეგ თამაში ყაზახეთის დედაქალაქში გვიწევს და გაგვიჭირდება აკლიმატიზაცია ოთხსაათიან სხვაობასთან. თუმცა, ვფიქრობ, ყაზახეთის გუნდთან წარმატებით ვითამაშებთ.

ათენი-2004

## დღეს მეოთხედფინალებია

ოლიმპიური თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ საფეხბურთო ტურნირში ჯგუფური ეტაპი დასრულდა და მეოთხედფინალისტთა ვინაობა გაირკვა.

„ა“ ჯგუფის ბოლო მესამე ტურში კორეასა და მალის ნაკრებები ერთმანეთს ხვდებოდნენ. ორივე გუნდს ფრეც აძლევდა ხელს შემდგომ ეტაპზე გასასვლელად, — მოედანზე ნამდვილი სპექტაკლი მიმდინარეობდა, რომელიც ფრედ 3-3 დასრულდა. ასეთმა შედეგმა აზრი დაუკარგა ჯგუფის მეორე მატჩს საბერძნეთისა და მექსიკის გუნდების მონაწილეობით. მექსიკელებმა 3-2 იმარჯვეს. თუმცა, ეს აღარაფერს წყვეტდა.

„ბ“ ჯგუფში იტალიის ნაკრები 0-1 დამარცხდა პარაგვაის გუნდთან, მაგრამ მეოთხედფინალში მაინც გავიდა. იაპონიის ნაკრებმა დაამარცხა განის ნაკრები 1-0.

„დ“ ჯგუფში კოსტარიკელებმა მეოთხედფინალის მიღმა დატოვეს პორტუგალიის ნაკრები (4-2) და ერაყის გუნდთან ერთად გაიკვლიეს გზა მეოთხედფინალისაკენ. ერაყელები მაროკოელებთან 1-2 დამარცხდნენ, თუმცა, ეს უკვე აღარაფერს წყვეტდა. ხვალ გაიმართება მეოთხედფინალური მატჩები, რომლებშიც ხვდებიან: მალი — იტალია, ერაყი — ავსტრალია, არგენტინა — კოსტა-რიკა, პარაგვაი — კორეა.

**ქალები. მეოთხედფინალი. 21 აგვისტო**

მექსიკა — ბრაზილია, გერმანია — ნიგერია, აშშ — იაპონია, შვედეთი — ავსტრალია.

## 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

**I ჯგუფი**

რუმინეთი — ფინეთი 2-1
მაკედონია —სომხეთი 3-0

**III ჯგუფი**

ლიხტენშტეინი — ესტონეთი 1-2
სლოვაკეთი — ლუქსემბურგი 3-1.

## ვეტერანთა მატჩი შედგება

25 აგვისტოს, მოსკოვში „სპარტაკის“ სტადიონზე გაიმართება ვეტერანთა მატჩი „სპარტაკისა“ და კიევის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელების მონაწილეობით. ეს ზეიმი ეძღვნება მოსკოვის „სპარტაკის“ მიერ 25 წლის წინ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში გამარჯვებას, აგრეთვე, ფიოდორ ჩერენკოვისა და ვაგიზ ხიდიატულინის საიუბილეო თარიღებს, – ორივე მათგანს 45 წელი შეუსრულდა. მაყურებლები მოედანზე იხილავენ ძველ საბჭოთა ვარსკვლავებს ოლეგ ბლოხინს, იური გავრილოვს, ლეონიდ ბურიაკს, ანატოლ დემიანენკოს და სხვებს.

## საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელი: „ძნელია თამაში იმ ვარსკვლავების წინააღმდეგ, რომლებიც მხოლოდ ტელევიზორით გვინახავს“



ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებულ საკალათბურთო ტურნირის პირველ ტურში პუერტო-რიკოს ნაკრებთან დამარცხების შემდეგ, აშშ-ის პროფესიონალთა ნაკრებმა 77:71 დაამარცხა ბერძენთა გუნდი. ოლიმპიადის ოფიციალური საიტისთვის მიცემულ ინტერვიუში საბერძნეთის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პანაგიოტის გიანაკისმა განაცხადა: „ძნელია, ითამაშო იმ ვარსკვლავების წინააღმდეგ, რომელთა თამაშიც მხოლოდ ტელევიზორით თუ გვინახავს. ამერიკელ პროფესიონალებთან შეხვედრაში დაგეგმილი გვქონდა დაცვაში ყურადღებით თამაში და მოწინააღმდეგის გადაცემების ჩაჭრა. 22-ჯერ ჩაჭრეს გადაცემები ჩემმა შეგირდებმა და ამან ამერიკელები შოკში ჩააგდო, თუმცა, საბოლოო წარმატებისათვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. და მაინც, ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლეთ – ეს იყო საბერძნეთის ნაკრების საუკეთესო მატჩი ოლიმპიადაზე“.

## დირიჟაბლი ისევ ჰაერში დატოვეს

ათენის თავზე ოლიმპიური თამაშების დაწყების დღიდანვე დაფრინავს პოლიციის სამორიგეო დირიჟაბლი, რომელზედაც სათვალთვალო მოწყობილობაა დამონტაჟებული. პოლიციის საჰაერო „მორიგეობა“, როგორც ჩანს, ათენის მცხოვრებთა უკმაყოფილებას იწვევს. 25 მოქალაქემ იჩივლა კიდეც სასამართლოში. მომჩივანთა აზრით, დირიჟაბლიდან თვალთვალი მათი ცხოვრების უფლებებსაც არღვევს.



სასამართლომ დაადგინა, რომ დირიჟაბლიდან არ ხდება ცალკეული ადამიანის ფიგურის ფოკუსირება, ანდა, მათ ბინებში „შეხედვა“. დირიჟაბლიდან პოლიცია, მხოლოდ ქალაქის საერთო ხედს ღებულობს, რითაც ხდება ტრანსპორტის მოძრაობის კონტროლირება. ასე რომ, დირიჟაბლი კვლავ ჰაერში დატოვეს და მიწაზე მაშინ უშვებენ, როცა ძლიერი ქარი ქრის.



## კლოჩკოვა სპორტიდან მიდის?

უკრაინელმა მოცურავემ იანა კლოჩკოვამ 200-მეტრ დისტანციაზე კომპლექსურ ცურვაში ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა.

„სიდნეიშიც მოვიგე ოქროს მედალი და ახლა ორი ოქროს მედალი მოვიპოვე. კარგად მესმის, რომ ამით ისტორიაში და გინესის რეკორდების წიგნშიც შევედი. მე კმაყოფილი ვარ, – ამბობს კლოჩკოვა, – ამ გამარჯვებას ვუძღვნი ჩემს ოჯახს, ბებიას, რომელიც მუდამ გულშემატკივრობდა. ახლა მე დასვენება მესაჭიროება. ჩემი ცხოვრების ნახევარი აუზში გავატარე. დროა ვიფიქრო, რა შეიძლება იყოს აუზის გარეთ“. უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ კლოჩკოვას გმირის წოდება მიანიჭა.

## მაიკლ ფელპსის ოქროს შოუ

საინტერესო გამოდგა ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ცურვაში. 200 მეტრ ბატერფლაით ასპარეზობაში ყველას აჯობა ამერიკელმა მოცურავემ მაიკლ ფელპსმა, რომლის შედეგია ერთი წუთი და 54,04 წამი, რაც ოლიმპიური რეკორდია.

გარდა ამისა, მან თანაგუნდელებთან ერთად 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში კიდევ ერთი ოქროს მედალი მოუტანა ამერიკის შეერთებულ შტატებს. მაიკლ ფელპსმა, რაიან ლოქტმა, პიტერ ვანდერკაიმ და კლიტ კელერმა აჯობეს ავსტრალიის ნაკრებს, რომლის შემადგენლობაშიც გამოდიოდნენ გრანტ ჰეკეტი, მაიკლ კლიმი, ნიკოლას სპრენგერი და იან ტორპი. აშშ-ის გუნდის შედეგია 7 წუთი და 7,33 წამი. მესამე ადგილზე გავიდა იტალიის ნაკრები.

## მხატვრულ ტანვარჯიშში ვერცხლის მედალი ამერიკელებს პამელა ანდერსონმა „უყიდა“

აშშ-ის ნაკრებმა მხატვრულ ტანვარჯიშში ქალთა გუნდურ პირველობაში მეორე ადგილი დაიკავა რუმინეთის გუნდის შემდეგ. მესამეზე აღმოჩნდა რუსეთის ტანმოვარჯიშეთა ნაკრები.

ამერიკელები ვერცხლის მედლებს ცნობილ კინომსახიობ პამელა ანდერსონს უნდა უმადლოდნენ.

საქმე ის არის, რომ აშშ-ის ერთი წევრი მოჰინი ბჰერდუეი ფინანსური პრობლემების გამო, ვერ გაემგზავრებოდა ათენში, რომ არ დახმარებოდა პამელა ანდერსონი. ამ უკანასკნელმა ტანმოვარჯიშეს 25 ათასი დოლარის ჩეკი გადასცა. საინტერესოა, რომ პამელა ანდერსონი თავად იყო ადრე ტანმოვარჯიშე.

## მეოთხედ...

ჰოლანდიელმა ველომრბოლმა ლეონტიელ ზაილარდ ვან მორსელმა ოქროს მედალი მოიპოვა ათენში ოლიმპიურ თამაშებში. საინტერესოა, რომ მორსელი ტრავმირებული ასპარეზობდა, თუმცა ამის მიუხედავად უახლოეს მდევარს ამერიკელ დირდრე დემეტბერს 24 წამით აჯობა. აღსანიშნავია, რომ 34 წლის ჰოლანდიელს უკვე ოთხი ოქროს მედალი დაუგროვდა თავისი კარიერის განმავლობაში და აწი შეუძლია, სპორტიდან მშვიდად წავიდეს.

## პირველი და უკანასკნელი

47 წლის ჩოგბურთელმა მარტინა ნავრატილოვამ ჟურნალისტებისათვის პრესკონფერენცია გამართა ათენში, რომელზედაც განაცხადა, რომ ეს ოლიმპიადა მისთვის უკანასკნელია. საინტერესოა, რომ ნავრატილოვას აქამდე არ უასპარეზია ოლიმპიურ თამაშებში.



— ყოველთვის მქონდა სურვილი, მეთამაშა ოლიმპიურ თამაშებში, მაგრამ მოხდა ისე, რომ 47 წლის ასაკში ოლიმპიადის დებიუტანტი შევიქმენი, — ამბობს მარტინა ნავრატილოვა.

◆ ***როგორ გრძნობთ თავს ათენში?***

— ძალიან მომეწონა ოლიმპიური სოფელი, ძალიან კარგი ატმოსფერო სუფევს. აქ ხომ მთელმა მსოფლიომ მოიყარა თავი...

◆ ***ჩოგბურთის გარდა, სპორტის რომელი სახეობის შეჯიბრებებს მიადევნებთ თვალს?***

— ჯერ მთავარი ჩემი გამოსვლაა კორტებზე, ვიმედოვნებ, რომ მალე არ გამოვეთიშები ასპარეზობას. ისე ძალიან მაინტერესებს შეჯიბრებები 100 მეტრ დისტანციაზე რბენაში.

## მარკები ოლიმპიადის პრიზიორთა გამოსახულებით

საბერძნეთის საფოსტო ორგანიზაცია „ელტამ“ გამოუშვა ახალი საფოსტო მარკები, რომლებზეც გამოსახულნი არიან ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ბერძენი სპორტსმენები – ტრამპლინიდან ხტომაში ოქროს მედალოსნების ნიკოლაოს სირანიდისისა და ტომას ბიმისი. მარკები 65 ცენტი ღირს.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**20 აგვისტო, პარასკევი**

**საქართველოს ტელევიზია. იმედი.** ათენის ოლიმპიური თამაშები. დღის მიმოხილვა (07.45), 09.45 — მძლეოსნობა; ძიუდო, 13.10 — მძლეოსნობა (გაგრძელება), ძიუდო (გაგრძელება). 15.10 — ძიუდო (გაგრძელება); ფრენბურთი. ქალები. კორეა — იაპონია; კალათბურთი. ქალები. აშშ-ესპანეთი; 17.10 — კალათბურთი. ქალები (გაგრძელება. აშშ- ესპანეთი); ძიუდო. ფინალები; ბატუტი. 20.05 — ხელბურთი. ვაჟები. საფრანგეთი — ეგვიპტე; 0.15 — თამაშების დღის მიმოხილვა. *НТВ плюс футбол.* ოლიმპიადის დღიური (7.30), მაგიდის ჩოგბურთი. ერთეულთა მეოთხედფინალები (8.30), მძლეოსნობა. ვაჟები. სპორტული სიარული 20 კმ-ზე (10.00), შეჯიბრება ბაიდარებითა და კანოეებით (11.40), კალათბურთი. ვაჟები. საბერძნეთის ნაკრები — ლიტვის ნაკრები (13.50), წყალბურთი. ვაჟები. ხორვატიის ნაკრები — რუსეთის ნაკრები (14.30), კალათბურთი. ქალები. აშშ-ის ნაკრები — ესპანეთის ნაკრები (15.30), ველოსპორტი. ტრეკი. ვაჟები. ინდივიდუალური რბოლა გამოდევნებით. ქალები — გიტი 500 მ. ვაჟები — გიტი 1 კმ. ფინალი (17.30), ცურვა. ნახევარფინალები და ფინალები (20.30), ძალოსნობა. ქალები 75 კგ. (21.50), ფრენბურთი. ქალები. აშშ-ის ნაკრები — რუსეთის ნაკრები (22.30), ფარიკაობა. ქალები. დაშნა (0.00, ფინალები), მშვილდოსნობა. ქალები. გუნდური პირველობა. ფინალი (0.45), კრივი. 54 კგ. 57 კგ წინასწარი შეჯიბრებები (1.15), ოლიმპიადის დღიური (2.15), ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (2.45); *НТВ плюс спорт.* ათენის ოლიმპიური თამაშები. პრეს-ცენტრი (9.45), კალათბურთი. ქალები. რუსეთის ნაკრები — იაპონიის ნაკრები (10.00), წყალბურთი. ვაჟები. აშშ-ის ნაკრები — რუსეთის ნაკრები (11.45), ბადმინტონი. ვაჟები (12.45), ტყვიის სროლა. ქალები. მცირეკალიბრიანი შაშხანა, 50 მ. ფინალი (13.25), ბადმინტონი, ვაჟები. ერთეულთა ნახევარფინალი (14.25), ტყვიის სროლა. ვაჟები. მცირეკალიბრიანი შაშხანა, 50 მ. ფინალი (15.25), კრივი. 60 კგ. წინასწარი შეჯიბრება (16.25), ბატუტზე ხტომა. ქალები. ფინალი (17.30), ბადმინტონი. ვაქთა წყვილები. ფინალი (19.15), ხელბურთი. ვაჟები. რუსეთის ნაკრები — ხორვატიის ნაკრები (20.25), ჩოგბურთი. ვაჟები. ქალები. ერთეულთა ნახევარფინალები (1.30), ფეხბურთი. ქალები. მეოთხედფინალი (5.30); EUROSPORT. კრივი (6.00, 16.30), ცურვა (7.00, 12.45, 20.30), მძლეოსნობა (10.00, 21.30, 4.30), ძიუდო (17.30), ველოსპორტი (18.45), ოლიმპიადის ახალი ამბები (20.15), ძალოსნობა (2.15), ხელბურთი (3.15). რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (4.00).

**21 აგვისტო, შაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. იმედი.** დღის მიმოხილვა (07.45), 09.45 — მძლეოსნობა; წყალბურთი; ფრენბურთი. ვაჟები, იტალია — ჰოლანდია; ცხენოსნობა; მაგიდის ჩოგბურთი. 13.10 — ფრენბურთი. ვაჟები. იტალია — ჰოლანდია (გაგრძელება); ცხენოსნობა; მაგიდის ჩოგბურთი — 15.10 — ცხენოსნობა (გაგრძელება), მაგიდის ჩოგბურთი (გაგრძელება), კალათბურთი. ვაჟები. ახალი ზელანდია — არგენტინა, ბადმინტონი. ფინალები. 17.10 — კალათბურთი. ვაჟები. ახალი ზელანდია — არგენტინა (გაგრძელება); წყალბურთი. ვაჟები; ბადმინტონი (გაგრძელება); მშვილდოსნობა. ფინალები. 19.20 — მშვილდოსნობა (ფინალები); მძლეოსნობა; ცურვა; ძალოსნობა. 22.20 — მძლეოსნობა (გაგრძელება), კრივი; ფეხბურთი. ვაჟები, მეოთხედფინალი; კალათბურთი. ვაჟები. ანგოლა — საბერძნეთი. 01.00 — ოლიმპიური თამაშების მიმოხილვა. *НТВ плюс футбол.* ოლიმპიადის დღიური (7.30), ჩოგბურთი. ერთეულთა ნახევარფინალები (8.30), საცხენოსნო სპორტი. გახედვა. გუნდური შეჯიბრება (10.30, 13.30), ფრენბურთი: ვაჟები. იტალიის ნაკრები — ჰოლანდიის ნაკრები (11.55), ქალები. აშშ-ის ნაკრები — რუსეთის ნაკრები (14.15), ფეხბურთი. ქალები. მეოთხედფინალი (15.30), ბატუტზე ხტომა. ვაჟები. პირადი პირველობა. ფინალი (17.30), ოლიმპიადის დღიური (19.15), ჩოგბურთი: ვაჟები. მატჩი მესამე ადგილისათვის, ქალები. ერთეულთა ფინალი (20.00), ფარიკაობა. ვაჟები. რაპირა. გუნდური პირველობა. ფინალი (23.00), ძალოსნობა. ვაჟები. 85 კგ. (0.00) კრივი. 75 კგ. წინასწარი შეჯიბრება (0.45), ოლიმპიადის დღიური (1.45), ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. „ტულუზა“ — პსჟ (2.15); *НТВ плюс спорт.* ოლიმპიადის პრეს-ცენტრი (9.45), ჩოგბურთი. ერთეულთა ნახევარფინალი (10.45), კრივი. 51 კგ. წინასწარი შეჯიბრება (14.25, 15.55), ტყვიის სროლა. ვაჟები. მცირეკალიბრიანი პისტოლეტი. ფინალი (15.25), ძალოსნობა. ქალები (17.30), მშვილდოსნობა. ვაჟები. გუნდური პირველობა. ფინალი (19.25), ბადმინტონი. ვაჟები. გუნდური პირველობა. ფინალი (19.45), ცურვა. ფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია (20.30), ფრენბურთი. ვაჟები. ბრაზილიის ნაკრები — რუსეთის ნაკრები. პირდაპირი ტრანსლაცია (22.30), წყალბურთი. ვაჟები. რუსეთის ნაკრები — აშშ-ის ნაკრები (1.40), კალათბურთი. ვაჟები. ლიტვის ნაკრები — აშშ-ის ნაკრები (2.40), ფეხბურთი. ვაჟები. მეოთხედფინალი (4.10, 5.55); EUROSPORT. ოლიმპიური თამაშები. ცურვა (6.00, 20.30), მძლეოსნობა (7.00, 11.45, 12.45, 19.30, 21.30, 4.30, 5.00), კრივი (15.45), ველოსპორტი (17.30, 5.30), ძალოსნობა (2.15), ჩოგბურთი (3.45); რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (3.15).

**22 აგვისტო, კვირა**

**საქართველოს ტელევიზია. I არხი.** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. თბილისის „ლოკომოტივი“ — ბოლნისის „სიონი“ (16.55), **იმედი.** ათენის ოლიმპიური თამაშები. მიმოხილვა (07.45), 09.45 — კალათბურთი. ქალები. ჩეხეთ — ახალი ზელანდია; ნიჩბოსნობა; ველოსპორტი. ტრეკი; ფრენბურთი. ქალები. ნიგერია — რუსეთი; ხელბურთი. ვაჟები. ხორვატია — ესპანეთი; 13.10 — ფრენბურთი. ქალები. ნიგერია — რუსეთი (გაგრძელება), ხელბურთი. ვაჟები. ხორვატია — ესპანეთი (გაგრძელება); ცურვა (გაგრძელება). 15.10 — ფრენბურთი. ქალები. რუსეთი — ჩინეთი; მაგიდის ჩოგბურთი. საპლაჟო ფრენბურთი; ტყვიის სროლა. ვაჟები; ველოსპორტი. ტრეკი (გაგრძელება). 19.20 — საპლაჟო ფრენბურთი (გაგრძელება), ველოსპორტი (გაგრძელება); წყალბურთი. ქალები; მძლეოსნობა; ფარიკაობა; ტანვარჯიში. 22.20 — მძლეოსნობა (გაგრძელება); ფარიკაობა (გაგრძელება); ტანვარჯიში (გაგრძელება); წყალში ხტომა. ქალები; ოლიმპიური თამაშების დღის მიმოხილვა (0.05). *НТВ плюс футбол.* ოლიმპიადის დღიური (7.30), ფეხბურთი. ვაჟები. მეოთხედფინალი (8.30, 10.15), ოლიმპიადის პრეს-ცენტრი (12.00), კალათბურთი: ქალები. ნიგერიის ნაკრები — რუსეთის ნაკრები (12.15), ვაჟები. ლიტვის ნაკრები — აშშ-ის ნაკრები (14.00), ხელბურთი. ვაჟები. გერმანიის ნაკრები — საფრანგეთის ნაკრები (15.30), ველოსპორტი. ტრეკი. ქალები, სპრინტი. ვაჟები, სპრინტი (17.25), მძლეოსნობა. პირდაპირი ტრანსლაცია (19.00), წყალში ხტომა. ქალები. კოშკი 10 მ. ფინალი (0.15), ოლიმპიადის დღიური (1.15), ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. „მეცი“ — „ლიონი“ (2.15); *НТВ плюс спорт.* ოლიმპიადის პრეს-ცენტრი (9.45), წყალბურთი. ვაჟები. რუსეთის ნაკრები — აშშ-ის ნაკრები (11.00), მაგიდის ჩოგბურთი. ვაჟები. ერთეულთა ნახევარფინალი (12.00), ტყვიის სროლა. ვაჟები 50 მ. ფინალი (14.25), ფრენბურთი. ქალები. რუსეთის ნაკრები — ჩინეთის ნაკრები (15.10), სასტენდო სროლა. ვაჟები. ფინალი (16.25), თავისუფალი ჭიდაობა. ქალები. წინასწარი შეჯიბრება (17.15), კალათბურთი. ქალები. ნიგერიის ნაკრები — რუსეთის ნაკრები (18.15), წყალბურთი. ქალები. მეოთხედფინალი (19.15), ფარიკაობა. ვაჟები. დაშნა. გუნდური შეჯიბრება. ფინალი (20.35), ხელბურთი. ვაჟები. რუსეთის ნაკრები — ისლანდიის ნაკრები (1.30), ჩოგბურთი. ქალები. წყვილთა ფინალი (2.15), კრივი. 64 კგ. 69 კგ. 91 კგ. მეოთხედფინალები (4.15), ფრენბურთი. ქალები. კუბის ნაკრები — აშშ-ის ნაკრები (5.30), EUROSPORT. ათენის ოლიმპიური თამაშები: ცურვა (6.00), მძლეოსნობა (7.00, 12.00, 19.00, 20.30, 4.30), ნიჩბოსნობა (9.30), ველოსპორტი (17.15, 17.30), ოლიმპიური თამაშების ახალი ამბები (20.15), მხატვრული ტანვარჯიში (0.15), ოლიმპიური თამაშების დღის მიმოხილვა (1.00), ჩოგბურთი (3.30), ველოსპორტი (5.30).

## კროსვორდი №66

**თარაზულად:** 1. საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, 4. ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელი 80-იან წლებში, 6. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 7. ესპანეთის პრიმერადივიზიონში მოთამაშე გუნდი, 9. წარსულში გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი. ჰელმუტ..., 10. ცნობილი კორეელი ფეხბურთელი. 12. ინგლისელი ფეხბურთელის, ფერდინანდის სახელი, 13. ცნობილი მოჭადრაკე ქალის, კრამლინგის სახელი, 15. ცნობილი რუსი კალათბურთელი 1972 წლის ოლიმპიადის მონაწილე, 20. ბრიტანელი მძლეოსანი. ევროპის 1974 წლის ჩემპიონი, 21. წარსულში ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატის მონაწილე. 23. ქართული სარაგბო კლუბი ახლო წარსულში. 24. მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი, მადრიდის „რეალის“ მოთამაშე.

**შვეულად:** 1. თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი, ნიაზ..., 2. სპორტის სახეობა, 3. ლიბერიელი ფეხბურთელი, 4. ცნობილი საბჭოთა ფეხბურთელი, მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი, 5. იგივეა, რაც ქურდი, 8. თბილისის „დინამოს“ 60-იანი წლების ფეხბურთელი, 11. ქართველი ფეხბურთელი 80-იან წლებში, 14. ქვეყანა ხმელთაშუა ზღვაში, 16. მასწავლებელი, აღმზრდელი,.... 17. ქართველი მშვილდოსანი, ათენის ოლიმპიადის მონაწილე, 18. ნორვეგიის საფეხბურთო კლუბი, 19. სათამაშო დრო ფეხბურთში, 22. ფრანგი ვეტერანი ჩოგბურთელი.




### №65 კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ჩაჩუა, 4. ლატინინა, 7. ზიდანი, 8. ტკაჩოვი, 10. ფილია, 11. ლაბაძე, 12. ლომიძე, 13. სო, 16. ტოსტაო, 18. ბორჯომი, 19. ჯორჯიკია, 22. ვეა, 23. როი, 24. ბორგი, 25. „ბოლონია“.

**შვეულად:** 2. აზიზი, 3. უნაგირი, 4. ლი, 5. ნიჩაბი, 6. ნავაძე, 9. კოლოსკოვი, 10. ფილატოვი, 14. აჯოევი, 15. ბაიდარა, 17. აბრაგი, 20. კურო, 21. „არგო“, 24. ბა.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)




შამათი 2 სვლაში

№65-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1.ლd5! ---- 2. ლc5X; 1. .... ლ:f3, 2. კd2X, 1. .... ლe3, 2. კg7X, 1. .... კb3, 2. ლ:c3X,

მთავარი რედაქტორის მოადგილე თენგიზ ჩობანიძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti-lelo@nm.ru